

შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

სტუდენტთა და ასაღზუნდჷ ვაცნიერთჷ სიჷპოიუთის

მ ე ტ მ ე ა ბ ი

I



გამომცემლობა

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი – 2010

UDC (უაკ) 379.4(479.223)(063)+902(479.223)+94(479.223)+39(=351.1)
ბ-179

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმის შრომების.

“_____” “_____”

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმის შრომების I კრებულის.

“_____” “_____”

სარედაქციო კოლეგია:

მთავარი რედაქტორი: პროფ. ამირან კახიძე

სარედაქციო კოლეგიის წევრები:
თამაზ დარჩიძე, ლაშა ბაჟუნაიშვილი,
ტარიელ კვიციანი, თენგიზ შალამბერიძე

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმის შრომების I კრებული იბეჭდება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერით.

ISSN 1987-9318

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2010

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	4
არქეოლოგია	
თენგიზ შალამბერიძე – ქუთაისი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში	6
ანა სახვაძე – იმპორტული მინის ჭურჭლის დინამიკა აღრეანტიკური ხანის საქართველოში	14
სულხან ოქრობერიძე – იმპორტული კერამიკის ერთი ჯგუფი ფიჭვნარის ძვ.წ V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდან	21
გენადი ცინცაძე – გონიო-აფსაროსში 2009 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები	26
გიორგი კარელიძე – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს აღრეული და შუა საუკუნეების სამარხთა ტიპები და მათი შედარებითი ანალიზი	35
თამაზ დარჩიძე – რკინის ლაზური ცულები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან	43
ისტორია	
ანდრო სამხარაძე – საქართველოს ისტორიის საკითხები ზოგიერთ რუსულ წყაროში	49
გურამ ჩხატარაშვილი – შავშეთის მაგერიალურ-კულტურული ძეგლები (სათლელის სვეტის ციხე)	56
თორნიკე დიასამიძე – ბანას საეპისკოპოსო	65
კახა ქამადაძე – გბეთის საეპისკოპოსო	71
ლამარა ბურკაძე – მოგზაურობა ისტორიულ გაო-კლარჯეთში	81
სოფო კანთელაძე – ქართული რენესანსის ქრისტიანული მსოფლმხედველობა	87

მოხარული ვართ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, რათა დავაფუძნოთ კიდევ ერთი ტრადიცია - პერიოდულად გამოვცეთ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმის შრომების კრებული. სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმი გასულ წელს მესამედ ჩატარდა და შეიძლება ითქვას, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის ტრადიციად იქცა. აღნიშნულ პროექტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებასა და სამეცნიერო მუშაობის პოპულარიზების საქმეში.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმი 2007 წელს დაფუძნდა. შემდგომ წლებში სიმპოზიუმის ფარგლებში წარმატებით იმუშავა არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ინჟინერიისა და მშენებლობის, არქეოლოგიისა და ისტორიის სექციებმა. 2007 წლიდან დღემდე სიმპოზიუმში მონაწილეობენ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი გააცნეს საზოგადოებას.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო სიმპოზიუმის ორგანიზება ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა მუდმივი და ერთგული პარტნიორების გარეშე, რომლებიც უკვე მეოთხე წელია მხარს უჭერენ და სათანადო დახმარებას უწევენ პროექტს. ჩვენ მადლობა გვინდა გადავუხადოთ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, გონიო-ავსაროსის მუზეუმ-ნაკრძალს, პეტრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალს.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმი ყოველწლიურად ტარდება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, წინამდებარე გამოცემაც სწორედ ამ ორგანიზაციის მხარდაჭერის შედეგია. ჩვენ ასევე მადლო-

ბას ვუხდით სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურს თანადგომისათვის.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების I კრებულში შესულია სტუდენტთა ნაშრომები, რომლებიც წაკითხულ იქნა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა III სიმპოზიუმზე 2009 წლის 18-19 ნოემბერს. ვფიქრობთ, კრებული საინტერესო იქნება სტუდენტებისათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.

თამაზ დარჩიძე

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი.

თენგიზ შალამბერიძე

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის
II კურსი.*

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ომარ ლანჩავა

ქუთაისი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში

ქუთაისი – საქართველოს ბურჯი, იმერეთის გული, მდინარე რიონის ორსავე ნაპირზე განლაგებული, ერთმანეთს შენაცვლებული გორაკ-ბორცვები და ვაკე დაბლობები. ეს ასიმეტრიულობა ამ ქალაქს ერთ-ერთ უღამაზეს და თვალწარმგაც ქალაქად ხდის. ცნობილი გამოთქმა – საქართველოში ყველა სოფელი ნაქალაქარია და ყველა ქალაქი ათასჯერ ნაქალაქარია, ყველაზე მეტად ალბათ ქუთაისს მიესადაგება, არქეოლოგიურ ძეგლებს, რომლებიც უკვე აღმოჩენილია და კვლავაც ჩნდება ქუთაისისა და მისი მიდამოების ტერიტორიაზე, ათასწლეულთა სიღრმეებისაკენ მივყავართ. ეს ძეგლები ქუთაისის უძველესი და ძველი ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, ვინაიდან წერილობითი წყაროების არაჩვეულებრივი სიმცირის, ხოლო ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე – მათი საერთოდ არ არსებობის გამო, ბუნებრივია, არქეოლოგიური მასალის მოშველიების გარეშე ქუთაისის ისტორიის ერთ მთლიანობაში წარმოდგენა სრულიად შეუძლებელია.

1974 წლიდან ქალაქ ქუთაისში მუშაობს ქუთაისის შემსწავლელი მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესორ ომარ ლანჩავას ხელმძღვანელობით. წლების მანძილზე გათხრები მიმდინარეობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ

გორაკზე მდებარე ციხე-ქალაქის, ბაგრაგის ტაძრისა და გაბაშვილის გორის გერიტორიაზე. აქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა გადმოეცა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდსაცავს და მიმდინარეობს ამ ნივთების სამუზეუმო წესით შესწავლა და დამუშავება.

ძვ.წ. VIII- VII საუკუნეები კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ხანაა. ამ პერიოდში იწყება კოლხეთის გერიტორიაზე რკინის ფართოდ ათვისება, რომელმაც დიდი გადაგრილება მოახდინა საზოგადოებრივ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში.

ამ პერიოდის ნამოსახლარები საქართველოში მღვისპირა ბოლში, შიდა კოლხეთში თუ მთიანეთში მრავალადაა აღმოჩენილი. ძირითადად ძეგლები წარმოდგენილი არის ნამოსახლარების და სამაროვნების სახით; აღმოჩენილია რკინის წარმოების უამრავი ნაშთები.

როგორც ჩვენ ვიცით და არქეოლოგიური მონაცემებიც გვიჩვენებენ, ქუთაისის მხარეში საუკეთესო პირობები არსებობდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმატებული განვითარებისათვის, ყოველივე ამას ხელი შეუწყო რკინის ფართოდ ათვისებამ. აქ ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ რკინის დამუშავება უმაღლეს საფეხურზე ასულიყო. აქ მოიპოვებოდა მადნეული, ხე-გყე და, რაც ყველაზე მთავარია, არსებობდა ლითონწარმოების ძველი გრადიციები. უკვე ძვ.წ. VIII- VII საუკუნეებში რკინას ბრინჯაოსთან ერთად წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ პერიოდის ნაწარმი მრავალადაა არქეოლოგიურ მასალებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმოების ნაშთების უახლესი აღმოჩენები ძველი ქალაქის სხვადასხვა უბანში. ესენია: წილები, თიხის საქმენი მილის ფრაგმენტები, ცულისა და საგების ქვისაგან დამზადებული ყალიბები. რკინის წარმოების ნაშთები აღმოჩნდა 2005 წელს ქუთაისის ვაკე გერიტორიაზე, კერძოდ, გრიშაშვილისა და რუსთაველის ქუჩის გადაკვეთაზე. წარმოების ნაშთები ძირითადად წარმოდგენილი იყო რკინის წილებით და თიხის საქმენი მილების ფრაგმენტების სახით, რაც მიანიშნებს მეღითონე-

ხელოსანთა უბნის არსებობაზე. რკინის წარმოების ფართო მასშტაბებს უპირატესად განაპირობებდა მიწათმოქმედების აღმაშენებლობა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება. რკინა ასევე ფართოდ გამოიყენებოდა მრავალდარგოვან ხელოსნობაში და სამხედრო საქმის ინტერესებითაც იარაღ-საჭურვლის დამზადებისათვის რკინასთან ერთად ბრინჯაოს ნივთების დამზადებაც ხდებოდა. ამაზე მეტყველებს ბრინჯაოსაგან დამზადებული იმდროინდელი სამეურნეო თუ საომარი დანიშნულების იარაღები, ცულები, თოხები, ისრის პირები და მცირე ზომის ქანდაკებები. აგრეთვე ქუთაისის ექსპედიციის მიერ იქნა აღმოჩენილი ორფრთიანი ყუნწიანი ისრის პირი, რომელიც ძვ.წ. VIII საუკუნით თარიღდება. ასეთი ისრის პირები იმ დროისათვის ფართოდ იყო გავრცელებული.

ქუთაისში ძვ.წ. VIII- VII საუკუნეების ფენებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მასალები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ქალაქის ხელოსნური წარმოების ისტორიისათვის. რკინის წარმოების გვერდით აყვავებას განიცდიდა მეთუნეობაც. პირველ რიგში აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ნედლეული, კერამიკული თიხები, რომლითაც მდიდარია ქუთაისის მიწა-წყალი.



კერამიკული წარმოების ცალკე ხელოსნურ დარგად გამოყოფის ერთ-ერთი უცყუარი მოწმობაა კერამიკული ჩარხის შემოღება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კერამიკულ ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი ჩნდება დასავლეთ საქართველოში სულ ცოცა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან. ქუთაისში აღმოჩენილი ძვ.წ. აღრე რკინის ხანის სამეთუნეო ნაწარმიც, როგორც წესი, კერამიკულ ჩარხზეა დამზადებული.

კერამიკული მასალა გამოირჩევა ფორმების მრავალფეროვნებით და სინაგიფით. თიხის ნაწარმი მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი და ამასთან ერთად კარგადაა გამომწვარი.

წამყვანი ადგილი უჭირავს საყოფაცხოვრებო დანიშნულების საოჯახო ჭურჭელს: ღერგებს, ქოთნებს, სურებს, ჯამებს, სასმისებს და სხვა. ყურადღებას იქცევს სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლების, ღერგები სიმრავლე. მათ აქვთ ვერტიკალური ყელი, რომლის გარე ზედაპირი ან საღაა, ანდა ზოგჯერ კონცენტრირებული ღარებით და სავარცხლით გამოყვანილი ორნამენტითაა შემკული. ზოგიერთი ამ ტიპის ჭურჭელი კი ფართო ვერტიკალური კანელურებითაა შემკული და ხშირად ნაწილობრივ გაპირიალებულია.

გარდა სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლებისა, დიდ ინტერესს იწვევს საოჯახო თიხის ნაწარმი, რომლებიც წარმოდგენილი არის სურების, ქოთნების და სასმისების სახით. მათი უმრავლესობა რუხკეციანია, მაგრამ არის ყავისფერკეციანი და მოწითალო-ჩალისფრად გამომწვარი ჭურჭლებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ერთი მთლიანი კოჭობი, საოჯახო კერამიკიდან აღსანიშნავია რამდენიმე ფრაგმენტი ქოთნისა, რომელთა ზედაპირი ჰორიზონტალური ღარებით ან გალღისებური ორნამენტითაა შემკული.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ჭურჭლის ყურების სიმრავლე.



მათი უმეტესობა შემკულია ზომორფული სახეებით. ასეთია სახელურის ზედა მხარეს დაძერწილი ბოლოებწაკვეთილი ცილინდრული ლილვი, რომელიც შუაში უნაგირისებურა-

დაა ჩაზნეცილი. ასეთი მასალა ცნობილია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ზოგჯერ მათი გავრცელების არეალი სცილდება დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოშიც გადადის. საერთოდ კი ამ ტიპის ჭურჭლების გავრცელების არეალი კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელების საზღვრებში თავსდება და კოლხური კულტურის ერთერთ დამახასიათებელ ელემენტად არის აღიარებული. ქრონო-

ლოგიურად კი წინარე ანტიკურ ხანას, უფრო ზუსტად, გვიან ბრინჯაო-აღრე რკინის ხანას განეკუთვნება.

ქუთაისის და საერთოდ ძველი ნამოსახლარის ხუროთ-მოძღვრებაზე საუბარი საკმაოდ მწირი მონაცემებით გვიხდება. თუმცა, სამშენებლო წესების შესახებ აქ აღმოჩენილ მასალებთან ერთად მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის წერილობითი წყაროები და ძველი კოლხური ნამოსახლარების, ნამჭედურის, ნოსირის და სიმაგრის არქეოლოგიური გათხრები, სადაც საქმე გვაქვს მხოლოდ ხის არქიტექტურასთან კოლხეთში.

ანალოგიური მონაცემები დადასტურებულია ძვ.წ. III საუკუნის ნამოსახლარებზე ქუთაისშიც. ხის არქიტექტურის განვითარებას მაღალ დონეზე განაპირობებდა კლიმატური პირობები და ტყეების სიმრავლე, რომელიც იძლეოდა შესანიშნავ საამშენებლო მასალას. კოლხეთში აღმოჩენილი უძველესი ხის ნაგებობანი ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება და შენობის ძირითადი ტიპი „ჯარგვალი“ თავს ინახავს თითქმის უკანასკნელ დრომდე.



კოლხეთის როგორც ბარი, ასევე მთისწინა ზოლი და მთიანი ოლქები ძალზე მჭიდროდ არის დასახლებული. ყველგან ძირითად საამშენებლო მასალას ხე წარმოადგენდა. კოლხური საცხოვრებლების აღწერილობა შემონახული აქვს რომაელ არქიტექტორს ვიგრუვიუსს, რომელიც ახ.წ. II საუკუნეში მოღვაწეობდა. ამ ავტორის ნაშრომია „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“, მისი გადმოცემით: „კოლხები პონგოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის გოლი მანძილის დაგოვებით, მათ ზემოდან კი თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომლებიც ამგვარად მღუდავენ ბინის შიგა სივრცეს. შემდეგ ოთხივე მხარეს კუთხეებში შეუღლებული ხეების

თანდათანობით წყობით ამოჰყავთ რა ძელების შვეულად ხის კელლები, აგებენ კომპებს და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მთელი სისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრის არის, რომ ვიგ-რუეიუს ის აღწერილობაში წარმოდგენილია კოლხური საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპი: ცენტრალურ ერდოიან-გვირგვინიანი კომპურა ძეღური ნაგებობა.“

მშენებლობის ასეთივე წესი ჩანს ქუთაისის მიწა-წყალზეც. ნაგებობათა ნაშთები აქ უკვე ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდება. აღსანიშნავია, რომ ეს ნაგებობები ძირითადად გამართულია ხელოვნურ მიწაგვერდულზე, მათ თიხით შეღებილი ხის კელლები ჰქონდათ. ნაგებობათა ერთ ნაწილს ქვის საძირკველი აღმოაჩნდა.

ქვის საძირკვლის შექმნა კი ფაქტობრივად სიახლეა ადრერკინის ხანის კოლხურ არქიტექტურაში. აგრეთვე შენობათა წინ დაფიქსირდა რიყის ქვებით მოკირწყლული ეზოთა ნაშთები და ქუჩებიც კი.

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო მასალა მოგვცა ბაგრაგის გაძარმა და მისმა მიდამოებმა. გაძრის ინგერიერში დადასტურდა 2 მ-დე სიმაღლის მხოლოდ ბათქაშებს ფენა ძელების ანაბეჭდებით. აღნიშნული ფენა ძალზედ გავრცელებული იყო გაძრის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. როგორც ჩანს, აქ ჩაწოლილი ნაგებობათა კომპლექსი და მისი დაღეჭვა მეტი კომპაქტურობით ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მოხდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ძეგლის ბოლომდე გათხრა ვერ ხერხდება და ამიტომ ნაგებობის ბუსტი გვემის დადგენა შეუძლებელი გახდა.

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ქუთაისის ეკონომიკურ განვითარებაზე ძირითადად მაინც ზოგად ასპექტში გვიწევს საუბარი. სავარაუდოა, რომ ქალაქის ეკონომიკური განვითარების ძირითად საფუძვლად კვლავ ინგენსიური მიწათმოქმედება რჩებოდა, რომლის გვერდით წარმატებით ვითარდებოდა მესაქონლეობა და მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება. სამიწათმოქმედო

იარაღებში ბრინჯაოს იარაღების გვერდით მასიურად შემოვიდა რკინის იარაღები: თოხები, ცულები, წაღლი, ნამგალი და სხვა. წარმოების საშუალებათა გაუმჯობესებამ კი შექმნა მაღალი სამიწათმოქმედო მეურნეობა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუთნის გამოყენებას ნიადაგის დამუშავებისათვის. ამ დროისათვის მეურნეობაში წამყვანი ადგილი პურეული კულტურების მოყვანას ეჭირა, თუმცა ქუთაისის მხარის ნაყოფიერი ნიადაგის მებაღეობა-მებაღეობის განვითარების შესანიშნავ პირობებს იძლევა. არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ მევენახეობა-მეღვინეობის მაღალ დონესაც.

მიწათმოქმედებასთან ერთად წარმატებით ვითარდებოდა მესაქონლეობა, წვრილი და მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის მოშენება, რასაც შესანიშნავად მოწმობს კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ცხოველთა ძვლების სიმრავლე. საფიქრებელია ასევე ის, რომ პირუტყვის სიმრავლე სიმდიდრის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა და სოციალური დიფერენციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო.

მასასაღამე, ქუთაისის გერიგორიაზე აღმოჩენილი წინარეანგიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ აქ მცხოვრებ მოსახლეობას გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანაში მეგად მდიდარი ბრინჯაოს კულტურა ჰქონდათ შექმნილი. ნივთიერი კულტურის ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად განვითარების ასევე მაღალ დონეზე დგას მრავალდარგოვანი ხელოსნობა: ბრინჯაოსა და რკინის მეგალურგია, ხუროთმოძღვრება, მეთუნეობა და საფიქრო საქმე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შუარიონისპირეთი ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული მხარე იყო, ამიტომაც აქ სამიწათმოქმედო დაბებთან ერთად გაჩნდა სახელოსნო საწარმოო უბნები, სადაც საქონელი მზადდებოდა და არა მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის, არამედ გასაცვლელ-გასაყიდად ბაზრისათვის, რაც ხელს უწყობდა სავაჭრო ეკონომიკური

კავშირების გაძლიერებას ქვეყნის სხვადასხვა მხარეს შორის და ქვეყნის გარეთაც. ამიტომაც ძვ.წ. VIII- VII საუკუნეებისათვის ქუთაისი ჩვენ წარმოგვიდგენია მძლავრ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლანჩავა ომარ, ქუთაისის არქეოლოგია, 2007
2. ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ქუთ., 2009

ანა სახვაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის მიმართულების IV კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ვახტანგ ლიჩელი*

ივკორბული მინის ჭურჭლის დინამიკა აღრეანბიური ხანის საქართვლოში

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ვრცელი გამოკვლევის პირველ ნაწილს. მისი მიზანია წარმოაჩინოს აღრეანტიკური ხანის მინის პოლიქრომული ჭურჭლის იმპორტის დინამიკა საქართველოში.

ფერადი მინის ჭურჭლის დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს, ის ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში – ეგვიპტესა და მესოპოტამიაში ჩაისახა. მინის საწარმოო სახელოსნოები დაფიქსირებულია – ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, მცირე აზიაში, სირიაში, ევროპის ქვეყნებსა და შავიზღვისპირეთში.

ფერადი მინის წარმოება რთულ ტექნიკურ პროცესებს უკავშირდებოდა, რის გამოც ისინი მცირე რაოდენობით მზადდებოდა. ბუნებრივია, მსგავსი ფუფუნების საგნები ფართო მასებისთვის ვერ იქნებოდა ხელმისაწვდომი.

თავდაპირველად მინისგან მზადდებოდა მხოლოდ სამკაულები, საკიდები, ფერადი თევლები და საბეჭდავები, ხოლო მოგვიანებით – ჭურჭელი, რომელიც გარკვეულ ხანაში თიხისა და ლითონის ნაკეთობებს ენაცვლებოდა.

პარფიუმერიისათვის განკუთვნილი მინის ჭურჭლის დამზადებისას რკინის ღეროზე ახვევდნენ თიხის შეშედილ მასას, რომელსაც სასურველი სანელსაცხებლის ფორმას აძლევდნენ, შემდეგ გულარზე იხვეოდა ცხელი მინის შოლგები და იქმნებოდა ფონი, რომელიც გაუმჭვირვალე თუ ნახევრად გამჭვირვალე იყო. ზედაპირს ფარავდნენ სხვადასხვა ხასხასა ფერის მრავალრიგიანი ღეკორით, ღეროზე ბრუნვის გზით ახვევდნენ მინის ფერად ძაფებს, საგანგებო იარაღით გამოჰყავდათ (“ივარცხნებოდა”) ზიგზაგისებური ზოლი. ამის შემდგომ ქვის ან მეგალის ფილაზე მრავალგზის გორებით ფერადი ძაფები ჯდებოდა კორპუსში, რის შედეგადაც მიიღებოდა ერთიანი სწორი ზედაპირი. გაცივების შემდეგ აცლიდნენ ღეროს გულართან ერთად და ბოლოს კიდევ ერთხელ ახურებდნენ მინის ჭურჭელს მასზე ცალკე დამზადებული პირ-ყელის, ყურებისა და ქუსლის მიერთების მიზნით, სწორედ ეს უკანასკნელნი არიან ხშირ შემთხვევაში გამჭვირვალენი.

საქართველოში მინის ჭურჭელი აღმოჩენილია ფიჭვნარში, ვანში, საირხეში, ბრილში, წალკის რაიონის სოფელ კუჩში, ქარელის რაიონის სოფელ გახგიძირსა და თეთრიწყაროს რაიონში.

კერამიკული ჭურჭლის მსგავსად, მინის ჭურჭელსაც გააჩნია ფორმათა თავისებურება. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ფერადი მინის გავრცელებული ფორმებია: არიბალოსი, ოინოხოია, ამფორისკი და ალბასტრი.

იმპორტული მინის ჭურჭელი საქართველოში. მინის იმპორტის დინამიკის დასადგენად საჭირო ვახდა ადრეანტიკური პერიოდისთვის ა. კახიძისა და თ. შალიკაძის მიერ შემუშავებული ხუთი ქრონოლოგიური ჯგუფის გამოარება: 1. ძვ.წ. V საუკუნის პირველი მეოთხედი; 2. ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედი. 3. ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანები; 4. ძვ.წ. V საუკუნის ბოლო მესამედი; 5. ძვ.წ. IV საუკუნე და III საუკუნის დასაწყისი (კახიძე, შალიკაძე, 2009: 20-54).

პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში წარმოდგენილი მინის ჭურჭლის უმეტესი ნაწილი ციხისძირშია აღმოჩენილი. ამ ჯგუფში საპარფიუმერიო მინის ჭურჭლის ორი ტიპი შედის: არიბალოსები

და ამფორისკები. არიბალოსი – სფეროს ფორმის საპარფიუმერე ჭურჭელია, საბერძნეთში მათში ძვირფას ზეთებს ინახავდნენ. ბერძენი ათლეტები პალესტრაში სიარულისას მაჯაზე მეთით სავსე არიბალოსებს იმაგრებდნენ ვარჯიშის შემდეგ ჭუჭყისა და ოფლის მოსაცილებლად. ზეთითვე იბეღდნენ ზურგს.

მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალი ჭურჭლის ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ფიჭვნარის სამარხებიდან. ამ ჯგუფში საპარფიუმერიო მინის ჭურჭლის ყველა ტიპი შედის. ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩნდა აგრეთვე ბერძნული საღვინე დოქის ერთ-ერთი სახეობა ოინოხოია სამგუჩა ფორმის პირითა და ვერტიკალური ყურით.

ფიჭვნარში აღმოჩენილ მინის ნაწარმში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვიწრო, წაგრძელებულგანიანი, მილისებრლრუიანი სანელსაცხებლე, რომელსაც სპეციალურ ლიგერატურაში მოიხსენიებენ სახელწოდებით "Kohl-tube". "Kohl" არაბულად ქუთუთოების საღებავს ნიშნავს. აღნიშნულ სანელსაცხებლეებს სწორედ ქუთუთოების კოსმეტიკური საღებავის შესანახად იყენებდნენ. kohl-tube-ების საკმაოდ დიდი ჯგუფი შეისწავლა დ. ბარაგმა, მან თავის ნაშრომში მოგვცა მათი კლასიფიკაცია, დართარილება და რაც მთავარია, ნათელი მოჭვინა მათი დამზადების ტექნიკას.

მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში ფიჭვნარის მრავალფეროვან მინის ნაწარმთან ერთად საყურადღებოა ვანში აღმოჩენილი მინის ორი თასი, რომლებიც ამ ხანაში აღმოჩენილ სანელსაცხებლეთაგან მკვეთრად გამოირჩევიან დიდი ზომითა და უჩვეულო ფორმით (ჰ-15სმ). მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ პირფართო, თასის ტიპის ღია ჭურჭელი ცნობილი არ არის ძვ.წ. V საუკუნეში, ამ დროს ძირითადად პოლიქრომული მინის ვიწროყელიანი და ვიწროპირიანი ჭურჭლებია გავრცელებული, ამ თასების ყველაზე განიერი ნაწილი კი პირია. ძნელია რამის თქმა მათი დანიშნულების შესახებ, თუმცა თასებს იმ ნაწილში, სადაც განი ყელს უერთდება, ირგვლივ აქვთ ღარი, რომელიც მოსახერხებელია ზონარის ან რაიმე ჩასაჭიდის შესაბმელად (ვანი VII.,

1983, 84). შესაძლოა ეს ჭურჭელი დასაკიდი ყოფილიყო კოსმეტიკური საგნების შესანახად.

მეოთხე ქრონოლოგიური ჯგუფი წარმოდგენილია ფიჭვნარში აღმოჩენილი ამფორისკით და ალაბასტრებით, ვანში აღმოჩენილი ამფორისკებით, Kohl-tube-ს გიპის სანელსაცხებლითა და ოინოხით, საირხეში აღმოჩენილი ფერადი მინის ალაბასტრით (ნადირაძე, 42-44) და მთიან რაჭაში, კერძოდ კი ბრილში აღმოჩენილი ფერადი მინის ამფორისკით (კახიძე, ვიკერსი, 2007: 179). ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ 2009 წელს იგოეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გრაკლიანის სამაროვანზე აღმოჩენილი khol-Tube, რომელიც ბარაგის კლასიფიკაციის I ჯგუფს შეესაბამება.

მეხუთე ქრონოლოგიურ ჯგუფში შედის ფიჭვნარის ელინისგური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი ორი ალაბასტრი და Kohl-tube-ს გიპის სანელსაცხებლეები, რომლებიც აღმოჩენილია წალკის რაიონის სოფელ კუშჩში (გაგოშიძე, 1982: 47-53), თეთრიწყაროს რაიონის სოფ. შავსაყდარას II სამაროვანზე, ამავე რაიონის სოფ. ენაგეთთან გათხრილ №6 სამარხში და ქარელის რაიონის სოფ. გახგიძირის სამაროვანზე, სადაც 3 ასეთი გიპის სანელსაცხებლეა დაფიქსირებული. გახგიძირის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილ ორ სანელსაცხებლეში შემორჩენილი იყო შავი ფერის მკვრივი მასა, რაც ამტკიცებს აზრს იმის თაობაზე, რომ ეს ჭურჭელი ნამდვილად გამოიყენებოდა ქუთუთოების კოსმეტიკური საღებავის შესანახად. 2003 წელს ვანში იქნა ასევე აღმოჩენილი khol-tube-ს გიპის სანელსაცხებლე (Darejan kacharava, Guram kvirkvelia -Recent Arcchaeological Finds on the Upper Terrace of the Vani Site _ Ancient civilization from scythia to siberi Vol.14 No.3-4 BRILL , 254-256).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ kohl-tube-ებს ბერძნული სამყარო არ იცნობს, რამეც მათი გავრცელების არეალი მეტყველებს, სავარაუდოდ, ამ გიპის ჭურჭელი ჩრდილო-დასავლეთ ირანში მზადდებოდა.

დ. ბარაგი მიიჩნევს, რომ ვანში აღმოჩენილი Kohl-tube-ს ტიპის სანელსაცხებლე, ასე შორს ირანიდან, შემთხვევითი კონტაქტების შედეგი უნდა იყოს, თუმც, ჩემი აზრით, ამ ჭურჭლის საქართველოში გავრცელება ლოგიკური გაგრძელებაა იმ კონტაქტებისა, რომლებიც საქართველოსა და აქემენიდურ სამყაროს შორის არსებობდა, რისი დასტურიც არის კოლხეთის გერიგორიაზე მრავლად აღმოჩენილი აქემენიდური ტიპის სამკაული, ისევე როგორც აქემენიდური ტიპის მოხაგული კერამიკა აღმოსავლეთ საქართველოში.

საყურადღებოა ის, რომ საქართველოში უკვე ორი შემთხვევა დადასტურდა Kohl-tube-ების აღმოჩენისა ბერძნულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ მინის ჭურჭელთან ერთად, ერთ სამარხში, ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული ორივე ტიპის ჭურჭელი ძვ.წ V-IV საუკუნეებში ერთდროულად შემოდიოდა ჩვენში. ამ დროს საქართველოში მოქმედებდა საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალი, რომელმაც, ბუნებრივია, საქონელი ორივე მიმართულებით მოძრაობდა, ამ გზით – დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მოხვდა ალბათ ამჟორისკი ენაგეთში, ხოლო აღმოსავლეთიდან იმპორტირებული Kohl-tube - ვანში (გობეჯიშვილი, 2007: ძიებანი № V., 72-76).

ამრიგად, მინის ჭურჭლის იმპორტის დინამიკის დასადგენად, ჩაგარდა იმ კომპლექსების სტაგისტიკური ანალიზი, რომლებშიც ეს მასალა არის აღმოჩენილი. ერთმანეთს შედარდა სახვადასხვა ქრონოლოგიურ ჯგუფებში შეგანილი მასალა, მინის ჭურჭლის საერთო რაოდენობიდან ქრონოლოგიურ ჯგუფებში იგი გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. ძვ.წ. V საუკუნის პირველი მეოთხედი – 3.5%
2. ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედში მინის ჭურჭლის წილი 11.9% შეადგენს;
3. ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებში ფიქსირდება 14% მინის ჭურჭლისა;

4. ძვ.წ V საუკუნის ბოლო მეოთხედში მინის ჭურჭლის წილი 12.6%-ია;

5. ძვ.წ. IV საუკუნე ძვ.წ III საუკუნის დასაწყისში მინის ჭურჭლის 7% ფიქსირდება;

შესამჩნევია სხვაობა უკვე წარმოდგენილ ქრონოლოგიური ჯგუფების პროცენტულ მაჩვენებელთა შორის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგადად იმპორტული მასალის მოზღვაების ფაქტს ძვ.წ. V საუკუნეში, რაც შეეხება ბოლო, მეხუთე ჯგუფს, სადაც მინის ჭურჭლის იმპორტი კვლავ მკვეთრად კლებულობს, ეს გამოწვეული უნდა იყოს ერთი მხრივ ამ ჭურჭლის წარმოების შემცირებით და მეორე მხრივ ამ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარებით, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა ბერძენთა ინტერესი და სავაჭრო შესაძლებლობები აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართულებით.

ნაშრომის მომდევნო თავებში განხილული იქნება ელინისტური და რომაული ხანის მინის ნაკეთობანი სტაგისტიკური ანალიზის ფონზე.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედინა ადრეანტიკური ხანის პოლიქრომული მინის ჭურჭლის იმპორტის დინამიკა საქართველოში. დინამიკის დასადგენად საჭირო გახდა ა. კახიძისა და თ. შალიკაძის მიერ ადრეანტიკური ხანისთვის მიღებული ხუთი ქრონოლოგიური ჯგუფი გაგვეზიარებინა და ამავე დროს წარმოგვედინა იმ კომპლექსების სტაგისტიკური ანალიზი, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო მასალა იყო აღმოჩენილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი გ, ფიჭვნარი გ. II., მითითებული აქვს ა. კახიძეს (1959:198)
2. კახიძე ა., შალიკაძე თ., მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მღვისპირეთიდან, ფიჭვნარი გ. IV. ბათუმი-ოქსფორდი 2009
3. გაგოშიძე ი., თრიალეთის სამაროვნები. თბილისი (1982)
4. კახიძე ა, ვიკერსი მ., ფიჭვნარი გ. I (2004)
5. კახიძე ა, ვიკერსი მ., ფიჭვნარი გ. II (2007)
6. ნადირაძე ჯ., საირსე საქართველოს უძველესი ქალაქი, წიგნი I. თბილისი, (1990)
7. საგინაშვილი მ., მინის სანელსაცხებლები – kohl-tube-ების გავრცელება საქართველოში ძიებანი V (2000).
8. ფირცხალავა მ., მინის ნაწარმი. ვანი გ. VII. თბილისი, (1983).
9. Darejan kacharava, Guram kvirkvelia, _ "Recent Archaeological Finds on the Upper Terrace of the Vani Site" _ Ancient civilization from scythia to siberia. Vol.14 No.3-4 2009 BRILL .
10. Darejan kacharava, Guram kvirkvelia, Grave 11, Grave 6. Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani. New York University 2008.

სულხან ოქროპირიძე

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კუმანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის II კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ამირან კახიძე*

იმპორტული ხერამიკის ერთი ჯგუფი ფიჭვნარის ძვ.წ V საუკუნის ბერძნული ნაქროვოლიდან

ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე აღმოჩენილ იმპორტულ კერამიკის ნაწარმს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ საბერძნეთსა და კოლხეთს შორის არსებული ურთიერთობების შესწავლის საქმეში. ესაა პერიოდი, როდესაც საერთაშორისო ბაზარზე გაბატონებული ათენი კერამიკით ამარაგებდა ყველა იმ ქვეყანას, რომელთანაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა ფიჭვნარის დასახლება. ათენსა და, ფიჭვნარის სახით, კოლხეთს შორის არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი, რომელიც ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, უნიკალური ძეგლია მთელს ამიერკავკასიაში.

ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედის მასალაში ცალკე გამოიყოფა უცნობი საწარმოო ცენტრის მინიატურული ამფორებისა და მოზრდილი ლეკითოსების ჯგუფი. თითქმის სრულად დაცულ ნიმუშებთან ერთად უმეტესად წარმოდგენილია საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ფორმის რეკონსტრუქციას. როგორც ლეკითოსების, ისე ამფორების კეცი

ღია მოყვითალოა, მოწითალო-მოყავისფრო ზედაპირით, წვრილ-მარცვლოვანი, ქარსის მრავალრიცხოვანი ჩანართებით. ამფორისკებისა და ლეკითოსების საერთო მახასიათებლები შემდეგია: აქვთ წაგრძელებული, სქელკედლიანი კონუსისებრი მოყვანილობის ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილი დაქანებული მხრები, პირისკენ დაბრისებურად შევიწროებული ყელი. ლეკითოსებს მაღალი დისკოსებური სწორი პირი, ოვალურგანივეკეთიანი ყური და ექინისებური ბრტყელბირიანი ქუსლი აქვთ, ზოგ ეგზემპლარს ყელზე დაფიქსირებული აქვს წიბო. ამფორისკებს – ლეკითოსისაზე უფრო დაბალი პირი, წყვილი ოვალურგანივეკეთიანი ყური და პაგარა ფოსოიანი გამოკვეთილქუსლიანი პირი (კახიძე, ვიკერსი, 2004, 67-68).

საქართველოში ამ ტიპის ლეკითოსები აღმოჩენილია პეგრაცისძირის სამაროვანის სააღაპო მოედანზე (ვაშაკიძე, ინაიშვილი, 2002: 14), ფაზისის მიდამოებში (ჭალადიძე), საირხეში (ნადირაძე, 1990: 85), ვანში, რაჭაში (ლორთქიფანიძე, 1966: 84-85), ხოლო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში - პორფუმის ნაქალაქარზე (Кастанаян, 1971, 189). მათგან ფიჭვნარი გამოირჩევა მასალის მრავალრიცხოვნებით. ყველგან დაფიქსირებულია მხოლოდ ლეკითოსების თითო ეგზემპლარი, ფიჭვნარში კი თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი ორივე სახეობა.

ოთარ ლორთქიფანიძე ამ ჯგუფის ნაწარმს თაზოსის პროლექციად მიიჩნევდა 1963 წელს ჭალადიძეში აღმოჩენილი მთლიანი, წაგრძელებული პროპორციებისა (38სმ. სიმაღლისა) და მაღალი კონუსური ტანის ლეკითოსის მისეღვით, რომლის კეციც ძალზე გავს ძვ.წ. V-IV სს. თაზოსურ ამფორათა კეცს (ლორთქიფანიძე, 1966: 84-85).

ფიჭვნარის მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1980 წელს აღმოჩენილი მინიატურული ამფორა, რომელიც პროპორციებითა და თიხის სტრუქტურით ჰგავს თაზოსისებურ ლეკითოსებს. ასეთი ჭურჭელი პირველად აღმოჩნდა ფიჭვნარში. რესტავრაციის შემდეგ დადგინდა, რომ მინიატურული ამფორის მუცლის არეში, ბასრი იარაღით გაეკეთებინათ საგანგებო ხვრელი 10-7 სმ

დიამეტრით, თვით ამფორის სიმაღლე 39,5 სმ-ია. მუცლის დია-
მეტრი - 14,5 სმ. ამფორის სიმაღლისა და მუცლის არეში გაკეთე-
ბული ხვრელის დიამეტრიც მიხედვით ჩანს, რომ მასში შეიძლება
4 თვის ნაყოფი ყოფილიყო ჩასვენებული. ჰააზმეს სქემის მიხედ-
ვით ცნობილია, რომ 4 თვის ნაყოფი 16 სმ-ია და დაახლოებით 120
გრამს იწონის. სწორედ ასეთი ნაყოფი უნდა ყოფილიყო
ჩასვენებული ამ მინიაგურულ ამფორაში (კახიძე, ვიკერსი, 2007:
27).

სულ ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე აღმოჩენილია ამ
სახეობის ამფორის 11 და ლეკითოსის 17 ერთეული. ამათგან 5
ამფორა და 6 ლეკითოსი სამარხეული ინვენტარია, 6 ამფორა და
11 ლეკითოსი – ამოღებულია სააღაპო მოედნებიდან.

რამდენიმე ამფორასა და ლეკითოსზე დაგანილია ერთასოი-
ნი მოზრდილი გრაფიგო: Γ, Ξ(ორჯერ), Α. განსაკუთრებით საინ-
ტერესოა ზემოთ აღნიშნული ამფორა-სამარხის შემთხვევა. მასზე
გამოსახულია წვერებით შეერთებული ორი ბერძნული Δ ან სე-
კირისებური ნიშანი (ლაბრისი). იგი შეიძლება მაგიურად ჩავთვა-
ლოთ და სეკირის გამოსახულებად მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ
სეკირა ავი სულებისაგან დაცვის სიმბოლოდ ითვლებოდა და
ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული. ოლბიაში ცნობი-
ლია კერამიკულ ჭურჭელზე ამოკაწრული ლაბრისი, სიმბოლო
ორფიკული დიონისე-მაგრევისა, რომელსაც ოპოზიციური
ორბუნებოვნება ახასიათებს (ლაბრისი წვერებით შეერთებული
ორ Δ-ა, რომლებიც ერთმანეთისადმი სარკისებურადაა განლა-
გებული). ბავშვის სამარხად გამოყენებულ ამფორაზე გამოსახუ-
ლი ერთმანეთისადმი სარკისებურად განლაგებული, წვერებით
შეერთებული ორი Δ სააქაო და საიქიო ცხოვრების სიმბოლო
უნდა იყოს (ძნელაძე, 2008: 70).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული მასალა ნეკროპოლი-
დან მომდინარეობს. სააღაპო მოედნებზე აღმოჩენილ ნიმუშებთან
ერთად ნაპოვნია სხვა კერამიკაც, როგორც მოზრდილი ამფორე-
ბი, ისე სასმისების სხვადასხვა სახეობები, ასევე ალაპის რიგუა-
ლის შესასრულებლად აუცილებელი ინვენტარი, მათ შორის

ატიკური ლეკითოსებიც, რომლებიც სურნელოვანი გეთისთვის გამოიყენებოდა. ვფიქრობთ, ასეთი, საშუალო ზომის ჭურჭელი გამოიყენებოდა ამჟორებიდან გადმოსხმული ღვინის მცირე ზომის სასმისებში დასასხმელად.

ყოველივე ზემოთ თქმულს თუ შევაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ. სახეზეა ე.წ. თაზოსის წრის პროლექცია, რომელიც ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ფიჭვნარშია წარმოდგენილი. სამწუხაროდ, უცხოეთში დაცული პარალელებისა და შესაბამისად, უცხოური ლიგერატურის მოძიება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. ამავე დროს საინგერესოა და მნიშვნელოვანი ამ სახის ნაწარმის საწარმოო ცენტრის დადგენა. ო. ლორთქიფანიძისა და ა. კახიძის მოსაზრებას, რომ საქმე გვაქვს თაზოსის ან თაზოსის წრის პროლექციასთან, რაც ამ ნაწარმის კეცის სტრუქტურაზე დაყრდნობითაა გამოთქმული, სჭირდება შემდგომი განმტკიცება, რაც შესაძლებელი იქნება თიხის ანალიზისა და მისი თაზოსური ამჟორების თიხის სტრუქტურასთან შეჯერების შემდეგ.

გამოყენებული ლიგერატურა

1. ა. კახიძე, მ. ვიკერსი, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002), ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი, 2004
2. ა. კახიძე, ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ფიჭვნარის ძვ. წ. V ს ბერძნული ნეკროპოლი, ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი, 2007
3. ნ. ვაშაკიძე, ნ. ინაიშვილი, ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივები, თბილისი, 1999
4. ჯ. ნადირაძე, საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი, 1990

5. თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966
6. ნ. ძნელაძე, მითოლოგიური სახეები და სიუჟეტები ანტიკური ხანის კოროპლასტიკაში, ეპიგრაფიკასა და ვაზათმხატვრობაში (სადისერტაციო ნაშრომი), ბათუმი, 2008
7. Кастанаян Е. Г. Раскопки Порфмия, археологические исследования на Украине в 1968, Киев, 1971

გენადი ცინცაძე

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის II კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: შოთა მამულაძე*

გონიო-აფსაროსში 2009 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები

2009 წელს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა სამ უბანზე: ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში (SW - IX-XII სექტორები), ცენტრალურ უბანზე (SW-I და XI სექტორები) და №3 კოშკის ტერიტორიაზე.

მიმდინარე წელს გათხრების ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენდა ციხის შიდა ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი. იგი პირველ და მეორე კოშკებს შორის არსებული ტერიტორიაა და ექცევა SW-IX სექტორის 41-48, 51-58, 61-68, 71-91 და SW -XII სექტორის 3-7, 13-17, 97-99-ე კვადრატებში.

ამ უბანზე არქეოლოგიური სამუშაოები გასული საუკუნის 90-იან წლებშიც მიმდინარეობდა. აქ გათხრები გაგრძელდა 2004 წლიდან. ძირითადად შესწავლილი იქნა ოსმალური (XVI-XIX სს), ბიზანტიური (IV-VII სს) და ნაწილობრივ რომაული ხანის კულტურული ფენები.

2009 წელს ძირითადად SW-IX სექტორის 51-58 კვადრატებში წარმოებდა საპრეპარაციო სამუშაოები. ამ დონეზე წარმოლგე-

ნილია ადრეშუასაუკუნეების (VI-VII სს) ხანის კულტურული ფენა. დაფიქსირდა ამ ეპოქის კრამიგსახურავიანი ნაგებობის ნაშთები, სადაც კრამიგებთან ერთად გვხვდება ბიზანტიური ეპოქის კერამიკული მასალა და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლურსმნები. მთელ ფართობზე დანახშირებული მასის გავრცელების მიხედვით ჩანს, რომ VI-VII საუკუნეებში აქ გამართული ნაგებობა ხანძრის შედეგად განადგურდა. ნაყარის გაწმენდის შემდეგ აქ სხვადასხვა ზომის რიყის ქვებით მოგებული იატაკი დადასტურდა. ამავე დონეზე დაფიქსირდა გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XIX სს) რამდენიმე ორმო. მათი ამოჭრისას დაზიანდა როგორც ბიზანტიური, ისე რომაული ეპოქის კულტურული ფენები. ამიგომაც იყო, რომ ამ დონეზე ორმოების ირგვლივ აღმოჩნდა საკმაოდ ადრეული ხანის მასალები (იგალიკური ამფორის, წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები, ბრინჯაოს საკმაოდ დაზიანებული ორი მონეტა და ა.შ.).

პარალელურად, ასევე საპრეპარაციო სამუშაოები გაგრძელდა უშუალოდ რომაული ეპოქის კულტურულ ფენაზე, SW-IX სექტორის 71-72, 81-82 კვადრატებში. აქ გამოვლენილ არქიტექტურულ ნაგებობათა ნაშთებთან ერთად, ერთსა და იმავე დონეზე, აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების კერამიკა, მინის ნაწარმი, რკინის ნივთები, ქვის ბირთვები და სხვა.

2009 წელს არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა ციხის ცენტრალურ ნაწილშიც (NW-I და XI სექტორები). აქ სამუშაოები ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო, სადაც აღმოჩნდა პრინციპის (სიგრძე-28 მ, სიგანე-24 მ) ნაშთები. ნაგებობა გამაგრებულია პილონებითა და დამცავი კედლებით (ეგყობა რეკონსტრუქციის კვალი). გამოიყოფა წითელი ფერის ჰიდრავლიკური ხსნარით მომზადებული იატაკის მქონე სათავსები, ღერეფნები, წყალმომარაგების სისტემა და ა.შ.). აღმოჩენილი მასალების მიხედვით (კერამიკა, მონეტები, მინის ჭურჭელი და ა.შ.) ნაგებობა ახ.წ. I ს მეორე ნახევარსა და III ს პირველ ნახევარში ფუნქციონირებდა (ხალვაში B, 2002: 134-141). აქვე იყო გამართული კვადრებით

შემოსაზღვრული ნაგებობა (სიგრძე - 15 მ, სიგანე - 11 მ), რომელიც საკულტო დანიშნულების უნდა იყოს (მამულაძე: 2009).

ამ უბანზე წელს სამუშაოები ძირითადად წარმოებდა პრინციპიის ჩრდილოეთით (NW –I სექტორი, № 30, 40, 50, 60, 70 კვადრატები). აქ მთელს სიგრძეზე აღებული იქნა 40 სმ სისქის VI საუკუნის კულტურული ფენა, რომელიც წარმოდგენილი იყო უსისტემოდ ჩაყრილი ნაგლეჯი ქვებით, გვერდაკეცილი კრამიგებით, თანადროული პერიოდის იმპორტული და ადგილობრივი კერამიკის-ამფორების, ჯამების, ქოთნების, ლანგრების, მინის ნაწარმის და სხვათა ნაგებები. აქ ბიზანტიური ხანის კულტურულ ფენას მოსდევს 20-25 სმ სისქის სტერილური ფენა, რომელიც აფსაროსში IV-V საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი. მისი ალების შემდეგ შესწავლილი ფართობის დასავლეთ მონაკვეთზე ქვის სვეტიანი იაგაკის ფრაგმენტები კვლავ დადასტურდა, რომლის ბედაპირზე II-III სს ამფორებისა და სამშენებლო კერამიკის უსახური ნაგებები იქნა ნაპოვნი. წელსვე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღებული იქნა მიწის დარჩენილი ფართობი და გამოჩნდა უშუალოდ ადმინისტრაციული ნაგებობის მესამე სათავსოს წითელი კირხსნარით შედგენილი იაგაკის დონე. იაგაკი აქაც გრძელდება და ანალოგიურადაა დამზადებული. რაც მთავარია, მიმდინარე წელს გამოიკვეთა პრინციპიის ჩრდილოეთი კედელი, რომელიც აღმოსავლეთი კედლის მსგავსად, პილონებითაა გამაგრებული. ასევე გამოვლენილ იქნა წყალგაყვანილობის მილები, რომელიც შენობაში შემოდის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული ღიობის საშუალებით და ექცევა სვეტიანი იაგაკის ქვედა დონეზე.

2009 წელს ამ უბანზე გარკვეული სამუშაოები ჩაგარდა ასევე თხრილის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში (NW-XI სექტორი, № 8-10, 18-20 კვადრატები), სადაც შესწავლილი იქნა VI საუკუნის ფენა, რომელიც იაგაკით, მრავალფეროვანი სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლებითა და დიდი რაოდენობის სამშენებლო კერამიკითაა წარმოდგენილი. ჩანს, აქ იდგა რკინის

ლურსმნებით შეჭედული ხის ნაგებობა, რომელიც სოლენისა და კალიპტერის ტაძის კრამიტით ყოფილა გადახურული.

შესწავლილი იქნა ასევე ოსმალურ პერიოდში ჩაჭრილი სა-ნაგვე ორმოები, რომლებშიც ძირითადად ამ ეპოქის მასალები იქნა ნაპოვნი.

გასულ წელს შესწავლილი იქნა № 3 კოშკის შიდა გერიგო-რიაც. იგი დაგანილია ციხის დასავლეთ კედელში და ექცევა SW-X სექტორში (26-ე კვადრანტი). კოშკი მართკუთხა ფორმისაა. სიგრძე - 4,87 მ, სიგანე - 2,90 მ.

კოშკი სამსართულიანია, რომელსაც აღმოსავლეთით ჰქონდა კარი. სამი მხრიდან აქვს სხვადასხვა ზომის სარკმლები. დასავ-ლეთის კედლის სარკმელი დაგმანულია. კოშკში ფენის მოხსნის შემდეგ გაირკვა, რომ შიგ ჩაყრილი იყო დიდი ზომის კედლის წყობაში გამოყენებული კვადრები. მათი ალაგების შემდეგ სამუ-შაოები გაგრძელდა 2,5 მეტრის სიღრმემდე. დადასტურდა, რომ აქ კულტურული ფენები მთელ ფართობზე დარღვეულია. ამიგომაცაა, რომ ერთდროულად სხვადასხვა დონეზე გვხვდება ოსმალური, ბიზანტიური და რომაული ეპოქის კერამიკული მასალები. მათ შორის არის მოჭიქული კერამიკის, ფაიანსის, კრამიგის, აგურის, ამფორების, ღოჭების, ხელსაფქვავეების, ქვის ბირთვები და სხვა მასალები.

პარალელურად მოისინჯა კოშკის შესასვლელის მიმდებარე გერიგორიაც. აქ დაფიქსირდა ერთ-ერთი კონგრეფორსი (სიგრძე - 1,2 მ, სიგანე - 1,3 მ, სიმაღლე - 1,2 მ), რომლის მსგავსი ნიმუშებიც გალაუნის დასავლეთ კედელს შიგნიდან მთელს სიგრძეზე მიუყ-ვება. აქვე აღმოჩნდა კირხსნარიანი ფენა, რომელიც ქმნის კოშკის შესასვლელთან მოედანს და საფეხურს.

ახლა კი ძალზე მოკლედ სამივე უბანზე აღმოჩენილი მასალე-ბის შესახებ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2009 წლის გათხრებმა ოსმალური პერიოდის საკმაოდ საინტერესო მასალა მოგვცა. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სადა და მოჭიქული კერამიკის ნაგებები, ფაიანსი, სხვადასხვა ზომის ლურსმნები, ამ ეპოქის აგურისა თუ ღარიანი კრამიგის ნაგებები და ა.შ.

ამ ეპოქის საღა კერამიკული ნაწარმიდან უნდა გამოიყოს ხელაღების, ღოქების და სხვათა ნაგებები. ისინი სრულიად მსგავსია ციხის შიდა გერიგორიაზე და განსაკუთრებით სამხრეთ კარიბჭესთან წინა წლებში აღმოჩენილი მთლიანი ცალებისა (კახიძე, მამულაძე, 2004: 4-73).

ყურადღებას იქცევს ამავე ეპოქის მიჭიქული კერამიკის ნაგებები. მათ უმრავლესობას ჯამები, ფიალები, ღოქები შეადგენს (გ. ა. 2009, 10, 11, 88, 89 ...), ესენი ადრეული პერიოდის მიჭიქული ჭურჭლისაგან რამდენადმე განსხვავდებიან. ამათი კეცი შედარებით უხეშია, უფრო ცუდადაა დამუშავებული და გამომწვარიც კი. ასევე საღებაღების ფერების შეხამება და თვით მოხატვა, მიჭიქვის გექნიკა და სხვა, უფრო დაბალ ღონეღვა შესრულებული. ამ გიპის კერამიკა გონიო-აფსაროსში მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა დროს და ისინი ძირითადად XVI-XIX საუკუნეებით თარიღება (კახიძე, მამულაძე, ებრაღიძე, 2002: 45).



2009 წლის გათხრების დროს №3 კოშკში, აღმოჩნდა ფიაანსის ჭურჭლის ფრაგმენტები. მათი უმეტესობა ფინჯნისებური ჭურჭლის ნაგებებია. გონიოში ისინი წინა წლებში ღიღი რაოღენობითაა მოპოვებული. თვღიან, რომ აქ აღმოჩენილი ფიაანსი უმთავერესად ორი ოსმაღული ცენგრის – იმნიკის (ძვეღი ნიკუა) და ქუთა (ჰ)იას ნაწარმი უნდა იყოს. აქეღან პირვეღში ხეღოსნობის ამ დარგის აყვავება XVI-XVII



საუკუნეებში იყო, მეორეში კი-XVIII და XIX საუკუნის დასაწყისში (.Мюлер:1972; აფხაზაღა, მამულაძე, 1998: 269-276).

ამ ეპოქის მასაღებიდან უნდა გამოიყოს ასევე აგურისა და დარიანი კრამიგის ნაგებები, რომღებიც ძირითადად მე-3 კოშკის

წინა მოედანზე იქნა ფიქსირებული. ისინიც ძირითადად მსგავსია წინა წლებში აღმოჩენილი ნიმუშებისა და ზოგადად XVI-XIX საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

2009 წლის გათხრების დროს, წარმოდგენილი იყო აღრებიზანტიური ხანის კერამიკული მასალაც. მათ შორის სიმრავლით უნდა გამოიყოს როგორც ადგილობრივი, ისე



იმპორტული ამფორების ნაგებები. გვხვდება ე.წ. განდალარული ამფორების ფრაგმენტები (გ. ა. 2009, 34, 36...), მათ ახასიათებთ ლილვისებური მოყვანილობის პირი, დაბალი, ვიწრო ცილინდრული ფორმის ყელი. ამ ტიპის ამფორები აღმოჩენილია ციხისძირში, ბიჭვინთაში და ა.შ. განსაკუთრებით მრავლადაა მოპოვებული გონიო-აფსაროსში. ერთ-ერთი მათგანი აღრე №2 კოშკში გათხრების დროს

იუსტინიანე I სახელით მოჭრილ მონეგებთან ერთად აღმოჩნდა. ფიქრობენ, რომ ეს სახეც ამფორებისა მცირე აზიაში უნდა იყოს დამზადებული. ისინი V-VI საუკუნეებითაა დათარიღებული (ხალვაში, 2002: 42-52). ამავე ეპოქას განეკუთვნება ე.წ. გოფრირებულმედაპირიანი ამფორის ნაგებები, რომლებიც გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ამფორების I ტიპშია გაერთიანებული და მათ საწარმოო ცენტრად სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზია და ჩრდილოეთ სირიაა მიჩნეული (ხალვაში, 2002: 42-52; მამულაძე, ხალვაში, კახიძე, 2009: 408). გვხვდება სხვა ტიპის ამფორების ფრაგმენტებიც.



ამ ეპოქის კულტურულ ფენებში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ქვაბ-ქოთნების, ქოთნების, წითელლაკიანი კერამიკისა და მინის სასმისის ფრაგმენტები, რომლებიც წინა წლებში აღმოჩენილი მსგავსი ნიმუშების მიხედვით VI-VII საუკუნეებით თარიღდებიან. რაც შეეხება ციხის ცენტრალურ და სამხრეთ-

დასავლეთ მონაკვეთებზე ამავე ეპოქის ფენებში აღმოჩენილ კრამიგებს, საკმაოდ ბევრია. ბევრია აგურის ნაგებებიც. კრამიგების უმრავლესობას ზედაპირზე ღარებით, ხოლო აგურები ზოგჯერ დიაგონალური ხაზებითაა შემკული. კრამიგები პროპორციებისა და გაფორმების მიხედვით ძირითადად შეესაბამება აღრეშუასაუკუნეებში გავრცელებულ ფორმებს (აფაქიძე, 1977: 224-228).

2009 წელს გონიო-აფსაროსში სამივე უბანზე წარმოებული გათხრებისას შედარებით დიდი რაოდენობით აღმოჩნდა რომაული ეპოქის არქეოლოგიური მასალებიც. მათ შორის სიმრავლით გამოირჩევა ამფორები. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ყავისფერკეციანი ამფორების ყელის, ტანისა და ძირის ფრაგმენტები (გ.ა. 2009, 30, 31, 32, 33, 34...) ამ ტიპის ამფორები გონიო-აფსაროსში მრავლადაა აღმოჩენილი და ისინი თარიღდებიან ახ. წ. I - III საუკუნეებით (ხალვაში, 2002: 11 - 12; 61 - 62).

2009 წლის მონაპოვარში გვხვდება ე.წ. ქიმისებრშვერილიანი ამფორის პირის, ყელისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა. 2009, 5). ამ ტიპის ამფორებიც მრავლადაა აღმოჩენილი გონიოში. მათთვის დამახასიათებელია პირის მოხრის ადგილას დაბერწილი ქიმისებური შვერილი და მაღალი ცილინდრული ქუსლი საყრდენ არეში მკვეთრი ბურცობით. ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული ამფორების ეს ტიპი არსებობას განაგრძობს ახ.წ. II საუკუნეშიც (ხალვაში, 2002: 24-25).



გვხვდება რომაული ეპოქის ამფორების სხვა ფრაგმენტებიც, რომლებზედაც აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით.

ამფორების გარდა, ამ წლის მონაპოვარში გვხვდება რომანიზებული ქვაბ-ქოთნების, ქოთნების, ლუთერიების და სხვა სახის ჭურჭელთა ნაგებებიც.



იმპორტული კერამიკის ცალკე სახეობას ქმნის წითელლაკიანი კერამიკა. მათში ძირითადად წარმოდგენილია თეფშისებურ თუ კოჭობის მსგავს ჭურჭელთა პირის, ტანის ფრაგმენტები (გ.ა. 2009, 22, 107, 109...)

ასევე გვხვდება სინოპური ხუფი, ლუთერიის და სხვათა ნაგებები (გ.ა. 2009, 40-45, 47...) ეს მასალები ზოგადად ახ.წ. I-III საუკუნეებით თარიღდებიან (ებრალიძე, 2005: 31-48; 2009: 147-167). ამავე პერიოდით თარიღდება მცირერიცხოვანი მინის სასმისების ძირებიც (შალიკაძე: 2004). გვხვდება ქვის ბირთვებიც, რომელიც დამზადებული უნდა იყოს ადგილობრივი ქვისაგან. ეს ადვილად მისაწვდომი ქვის იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში (ასლანიშვილი, 2004: 152-155).

ასეთია მოკლედ ციხის შიდა ტერიტორიაზე 2009 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. სავლელე სამუშაოები გონიო-აფსაროსში მომავალშიც გაგრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლანიშვილი ლ., ქვის ბირთვები.-გონიო-აფსაროსი IV. ბათუმი, 2004 გვ 152-155.
2. აფაქიძე გ., ბიჭვინთის სამშენებლო კერამიკა—დიდი პიტიუნგი II. თბ., 1977
3. აფხაზავა ნ., მამულაძე შ., გვიანშუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა გონიოდან. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები II. ბათუმი, 1998, გვ. 269-276.
4. ებრალიძე გ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელისტიკურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით). გონიო-აფსაროსი VI. ბათუმი, 2005

5. ებრალიძე გ., აფსაროსი ახ.წ. I საუკუნეში. გონიო-აფსაროსი VIII. ბათუმი, 2009, გვ. 147-167.
6. კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. გონიო-აფსაროსი IV. ბათუმი, 2004, გვ. 4-67
7. კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე გ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. გონიო-აფსაროსი III. თბილისი, 2002, გვ. 40-70.
8. მამულაძე შ., სერაპისის ქანდაკება. - გონიო-აფსაროსი VIII. ბათუმი, 2009 გვ. 131-145.
9. მამულაძე შ., ხალვაში მ., კახიძე ე., აფსაროსი ბიზანტიურ ეპოქაში. ბიზანტიოლოგია საქართველოში-2, ტ I, თბილისი, 2009, გვ. 405-418.
10. შალიკაძე თ., გვიანბიზანტიური და აღრეშუსაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. - გონიო-აფსაროსი V. ბათუმი, 2004
11. ხალვაში მ.(ა), კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. - გონიო-აფსაროსი II. ბათუმი, 2002
12. ხალვაში მ.(ბ), გონიო-აფსაროსის შიდა ციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. - გონიო-აფსაროსი. თბილისი, 2002, გვ. 134-141.
13. Мюлер Ю., Художественная керамика Турции. Л.1972

გიორგი ჯარელიძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგია-ეთნოლოგიის მაგისტრატურის II კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ზვიად კვიციანი*

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს აღრეული შუა საუკუნეების სამარხთა ტიპები და მათი ზღვარებითი ანალიზი

საქართველოს აღრეული შუა საუკუნეების მეცნიერული შესწავლა და კვლევა, მათ შორის არქეოლოგიური კუთხით, უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან ახალმა პერიოდმა მოიგანა გარდამტეხი ძვრები საზოგადოების ცხოვრებაში: მკვიდრდება ახალი სოციალური ფორმაცია, ყალიბდება ახალი პოლიტიკური ერთეულები, იცვლება რელიგიური შეხედულება. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში მომხდარმა ცვლილებებმა მთავარი გავლენა მოახდინა შემდგომში საქართველოს ისტორიის ყველა მოვლენასა და ეტაპზე.

განსაკუთრებული ცვლილება შეეხო ადგილობრივი მოსახლეობის სულიერ ყოფას. მძლავრად მკვიდრდება ქრისტიანული რელიგია, რომლის გავლენა იგრძნობა ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტში და, რა თქმა უნდა, მიცვალებულის კულტთან მიმართებაშიც. კერძოდ, ახალი სახე მიიღო დაკრძალვის რიტუალმა, შეიცვალა სამარხეული ინვენტარი და თავად სამარხთა ფორმები. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპები, რომლებმაც განდევნეს წინა პერიოდში არსებული მრავალრიცხოვანი ფორმები. შედარებით შემცირდა ძვირფასი ლითონებისა და

კერამიკული ჭურჭლის რაოდენობა სამარხეულ ინვენტარში, რადგან ქრისტიანობა კრძალავდა მრავალრიცხოვანი ნივთების ჩაგანებას მიცვალებულის სამარხში, რაც იმქვეყნიური ცხოვრებისადმი შეხედულებების ცვლილებებმა განაპირობა. სამკაულს ამ შემთხვევაში მხოლოდ ინდივიდის საკუთრების ფუნქცია გააჩნდა და ნაკლები კავშირი ჰქონდა რელიგიურ რიგუალთან. ამ დროს საერთოდ აღარ გვხვდება ლითონის ჭურჭელი, შემცირდა თიხის ჭურჭლის რაოდენობაც. ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის ღოჭები და ფიალები, თუმცა მიცვალებულის სამოსელის ლითონის აგრიბუტებსა და პირად ნივთებს ხშირად ვხვდებით და ზოგიერთ შემთხვევაში არცთუ ისე მცირე რაოდენობით. IV საუკუნის სამარხებში ჯერ კიდევ გვხვდება ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ლითონის სამკაული: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეები, ბეჭდები, სასაფეთქლეები, ყელსაბამები და სხვა. განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა მცხეთისა და არმაზისხევის სამაროვნები, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ წარჩინებული ფენების სასაფლაოს წარმოადგენს. ამ პერიოდში ხშირად ფიქსირდება სამარხში მონეტების ჩაყოლების ფაქტები, რაც წინარე რელიგიის ძლიერ გადმონაშთად შეიძლება მივიჩნიოთ.

IV-VI საუკუნეების სამარხებში, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში ნელ-ნელა დიდ ადგილს იკავებს მინის ნაწარმი, რომელიც ძირითადად ნელსაცხებლებისთვის იყო განკუთვნილი. ამასთანავე, მინა შედარებით ახალი მასალაა თიხასთან და ლითონთან შედარებით და რიგუალური დაგვირთვა შესაძლოა ამიგომაც მიენიჭა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ პერიოდიდან ქრება იმპორტული და მისი მინაბადი ფორმის მინისა ან სხვა მასალის ჭურჭელი და მეტი ყურადღება ენიჭება ადგილობრივ წარმოებას. ეს თავისთავად მეტყველებს ქვეყანაში ინდივიდუალური ცნობიერების დაწინაურებასა და დამოუკიდებელი თვითშეგნების ძლიერ განვითარებას.

IV-VI საუკუნეებში მიცვალებულის ნეშტმა მიიღო ახალი რელიგიისათვის დამახასიათებელი კანონიკური პოზა - გამოცილი მდგომარეობა, თუმცა გამონაკლის შემთხვევებს აქაც ვხვდებით.

აღრე შუა საუკუნეების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს გერიგორიაზე სამარხები რელიგიური ცენტრიდან მოშორებითაა. შემდგომ პერიოდში უკვე მდგომარეობა იცვლება და სამაროვანი ეკლესიის მიმდებარე გერიგორიაზე ინაცვლებს.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სამარხთა სხვადასხვაგვარი ტიპი: ორმოსამარხები, ქვასამარხები, ქვის, ხის, თიხის სარკოფაგები, კაგაკომბები, აკლამები.

ორმოსამარხები - აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ ადგილას გვხვდება. ძირითადად გავრცელებულია არასწორი ოვალის ფორმის ორმოები, რომლებიც ორი, სამი, ოთხი ქვის ან ხის ბრყეელი ფილებითაა გადახურული. უმრავლეს ნაწილში დაკრძალვა ინდივიდუალურია. ორმოსამარხებში მიცვალებული გამოცილ მდგომარეობაშია თავით დასავლეთით, იშვიათ შემთხვევაში მოკრუნჩხულ პოზაშია, რაც სამარხების არქაულობაზე მეტყველებს. აღმოჩენილი მცირე ნივთების მიხედვით, ორმოსამარხთა უმრავლესობა IV-VI საუკუნით თარიღდება.

ქვასამარხები - ყველაზე გავრცელებული ტიპია და ქართულ რეალობაში თითქმის XIX საუკუნემდე შემორჩა. ქვის სამარხები ძირითადად ფილა-ქვებისგანაა შეკრული და ორი-სამი ბრყეელი ფილითაა გადახურული. მასში დაკრძალვა ძირითადად კოლექტიურია, მხოლოდ იშვიათად შემთხვევებში გვხვდება ინდივიდუალური დაკრძალვის რიგული. ზოგიერთ ასეთ ქვასამარხში 15-მდე ინდივიდი ფიქსირდება. ძალზედ საინტერესოა მცხეთასა და არმაზისხევში აღმოჩენილი ქვასამარხები (აფაქიძე, გობეჯიშვილი, ლომთათიძე, 1955), რომლებიც თავისი მრავალგვარობით გამოირჩევიან. მსგავსი სამარხები ამ გერიგორიაზე პირველად ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს გვხვდება, მაგრამ ვრცელდება მოგვიანო პერიოდში. არმაზისხევში აღმოჩენილი ქვასამარხები ორ ნაწილად იყოფა: ფილაქვებით ნაგები და ნაგები ქვებით ნაგები. მათი ნაწილი ბანურსახურავიანია, ხოლო იშვიათ შემთხ-

ვევაში გვხვდება ორფერდასახრავიანი სამარხები. ისინი ძირითადად მდიდარ ინდივიდებს ეკუთვნოდათ, მეტწილად ქალებს.

ცალკე შეიძლება გამოიყოს მცხეთაში აღმოჩენილი IV–VI საუკუნეების მდიდრული სამარხები, სადაც ზოგიერთ ქვასამარხში ჩასვენებული ჩონჩხის ირგვლივ აღმოჩნდა რკინის ლურსმნები და ხის ნაშთები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებული ხის კუბოთი ჩაუსვენებიათ სამარხში. ძალზედ საინტერესოა, რომ შედარებით არქაული ფორმის ორმოსამარხებში აშკარად ჭარბობს ინდივიდუალური დაკრძალვა, ხოლო მოგვიანო პერიოდის ქვასამარხებში კოლექტიური დაკრძალვაა გაბატონებული. ეს შეუსაბამო რეალობა შეიძლება გამოწვეული იყოს საგვარეულო წყობილების ელემენტების შენარჩუნების მცდელობით.

ქვის სარკოფაგები - არცთუ ისე მრავალადაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს გერიგორიაზე. მცხეთაში სულ სამი ერთეულია ნაპოვნი: ორი არმაზისხევიდან და ერთიც ბაგინეთიდან (აფაქიძე, გობეჯიშვილი, ლომთათიძე, 1955), მაგრამ ისინი წინაფეოდალურ ხანას განეკუთვნებიან. ქვის სარკოფაგები აღნუსხულია კავთისხევეში, ურბნისში, ბორჯომში (საქართველოს არქეოლოგიის საკითხები II, 1978). შედარებით მნიშვნელოვანია რუსთავეში აღმოჩენილი ქვის სარკოფაგი, რომელიც რამდენიმე ქვის ფილისგანაა შედგენილი.

ხის სარკოფაგები - აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ადგილას გვხვდება. ურბნისში აღმოჩენილი ერთეულები ხის ძელებითაა შეკრული და კოლექტიურ სამარხებს წარმოადგენენ (ჭილაშვილი, 1964). ასეთივე სამარხთა ტიპი გვხვდება სოფ. ქვემო ალევში (აფხაზავა, 1988), სადაც ხის კუბო ქვაყუთის ქვეშაა მოქცეული, რაც მის არქელობაზე მიუთითებს.

თიხის სარკოფაგები - გავრცელება ხდება ადრე შუა საუკუნეების პერიოდიდან. სოფ. ურბნისში (ჭილაშვილი, 1964) სარკოფაგები კოლექტიური დაკრძალვისთვის გამოიყენებოდა. ამ სარკოფაგებს გარედან კედლებზე ჭდული ორნამენტები შემოუყვება და კედლებიც შედარებით ნატიფადაა დამუშავებული. ასეთივე სარკოფაგებია აღმოჩენილი რუსთავეშიც (Пачикашвили Н., 2003).

სარკოფაგები თარიღდება IV-V საუკუნეებით. თიხის სარკოფაგები ზოგადად გავრცელებული იყო წინა ამიის უძველეს სახელმწიფოებში: ურში, ბაბილონში. მესოპოტამიაში მის გამოყენებას დიდი გრადიენტია ჰქონდა, მაგრამ ისინი თავისი ზომებით შედარებით პატარაა. მკვლევართა უმრავლესობა საქართველოში სარკოფაგთა გაჩენას ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირებს.

კაგაკომბები - მიწაში ამოჭრილი ორმოებს წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი კედლის ძირში, იატაკი ღონემე გამოთხრილია დამატებითი დასაკრძალავი კამერა, სადაც მიცვალებულია ჩასვენებული. მის ღია გვერდზე მიფარებულია ბრტყელი კრამიგი, ქვა ან ხე. ძირითადად ასეთ სამარხებში მიცვალებული ზურგზე გაშოტილი წევს. ასეთი გიპის სამარხები გათხრილია აღაიანსა და ქინვალში, თარიღდება IV-VI საუკუნეებით (ლომთათიძე, 1979)

აკლდამები - ამ პერიოდში ეკლესიის სიახლოვესაა განთავსებული, მოგვიანებით იგი ინაცვლებს ეკლესიის შიგთავსში იატაკის ქვეშ. როგორც წესი, ასეთი გიპის სამარხი განკუთვნილია საეკლესიო მოღვაწეთათვის ან მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის. უმრავლეს შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოში ისინი მრავალჯერადი გამოყენებისაა. მეცნიერთა ნაწილი აკლდამებს ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირებს, ზოგი კი მათ წინა ქრისტიანულ პერიოდშიც მოიაზრებს, რის დამამტკიცებლადაც მცხეთაში აღმოჩენილი აკლდამა მოჰყავთ. აღმოსავლეთ საქართველოში აკლდამები სხვადასხვა ადგილას გვხვდება. ერთ-ერთი გამორჩეულია სოფ. სიონში აღმოჩენილი აკლდამა (რამიშვილი, 1970), რომელიც მიწისქვეშა საგვარეულო სამარხს წარმოადგენდა. მას აქვს აღმოსავლეთი მხრიდან შესასვლელი კარი და დასაკრძალავი საკანი, სადაც ორი საცხედრე განყოფილება ფიქსირდება. გადახურვა თაღოვანია, ხოლო კედლები თლილი ქვითაა ნაშენი. ეს აკლდამა თარიღდება V-VI საუკუნეებით. მსგავსი ნაგებობანი ამ პერიოდში სომხეთშიც გავრცელებულია. სოფ. ახციში მიკვლეულია მავზოლეუმის გიპის აკლდამა (архю-нян, Сафарян, 1951), რომელიც არშაკიდების დინასტიის სომეხი

მეფეების საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა და თარიღდება V საუკუნის მეორე ნახევრით. სიონის აკლდამის მსგავსად იგი კარგად გათლილი კვადრებითაა ნაშენი, ხოლო შიდა სივრცე შედარებით მდიდრულადაა გაფორმებული. აკლდამათა მსგავსი ტიპი აღმოჩენილია ხორნაბუჯის მიდამოებსა და ყოლოთში (სინაურიძე, 1967). ძალზედ საინტერესო და უნიკალური აკლდამა აღმოჩნდა აგრეთვე წილკნის მიდამოებში. ყოლოთში აკლდამას უჩნდება საძველე განყოფილება, რომელიც მისი მრავალჯერადი გამოყენების შედეგია.

IV-VI საუკუნეებში მნიშვნელოვნად მცირდება სამარხთა ტიპები დასავლეთ საქართველოშიც. ჩვენთვის ცნობილია, რომ გვიანანტიკურ ხანაში აქ ფიქსირდება ათამდე სამარხთა ფორმა. IV-VI საუკუნეებში კი მათი უმრავლესობა სრულიად ქრება. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს სამარხების ფორმებისგან განსხვავებული ტიპები მაინც გვხვდება. გარკვეულწილად ეს შესაძლოა რელიგიური განსხვავებითა და გეოგრაფიული ფაქტორით იყოს გამოწვეული. ამ პერიოდში დასავლეთში ფიქსირდება ორი სახის დაკრძალვა: ინჰუმაციური და კრემაციული. ამასთანავე, კრემაციის ფაქტები ძალზედ მცირეა და ნელ-ნელა ქრება დაკრძალვის რიგუალიდან. ეს კი ქრისტიანული რელიგიის მომძლავრების ნიშანია.

კრემაციული დაკრძალვა გვხვდება გურიაში - ზღვის სანაპიროზე აღმოჩენილ სამარხში, რომელიც საკმაოდ მდიდრული ინვენტარით გამოირჩეოდა (ლომთათიძე, 1977).

დასავლეთ საქართველოში ადრე შუა საუკუნეებში გვხვდება სამარხთა ტიპი, რომელსაც ანტიკურ და რომაულ ეპოქაში გაბაგონებული პომიცია უჭირავს. ესაა ამფორასამარხები. ციხისძირში არმოჩენილი ამფორასამარხების ნაწილი V-VI საუკუნეებით თარიღდება (ინაიშვილი, 1993)

განსაკუთრებით საინტერესოა ბიჭვინთის გერიგორიაზე აღმოჩენილი ადრექრისტიანული ხანის სამარხთა ერთი ტიპი ე.წ. “კირსხნარიანი” სამარხები, რომელთა ნაწილი IV საუკუნეს მიეკუთვნება (კვიციანი, 1997). ეს სამარხები საქართველოს სხვა

გერიგორიაზე არ გვხვდება. მეცნიერთა ვარაუდით, მიცვალებულს კირხსნარს გრუნგის წყლებისგან დასაცავად ასხამდნენ (ლორთქიფანიძე, 1991), მაგრამ შესაძლოა რაიმე ლოკალურ რელიგიურ ან გრადიციულ განსხვავებებსაც ჰქონდეს ადგილი. ამ ფორმის სამარხებში მიცვალებული გამოვიღო პომპაშია, თავით დასაველეთისკენ. მარჯვენა ხელი მკერდზე უდევს, ხოლო მარცხენა სხეულის – გასწვრივ.

განსხვავებებთან ერთად, ცალკეულ შემთხვევებში სამარხთა გიპები მსგავსებას იჩენს აღმოსავლეთ საქართველოსთან. ეს კარგად იკვეთება წებელდის სამაროვანზე აფხაზეთში (Трапш, 1963), რომლის სამარხეული ინვენტარი და დაკრძალვის წესი ძალიან ჰგავს მცხეთის სამაროვნის მონაცემებს.

აღნიშნული პერიოდის სამარხები დაფიქსირებულია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა გერიგორიაზე: რაჭაში – ღებსა და შოშეთში (ლომთათიძე, 1977), ასევე საინტერესოა იმერეთში საგვარჯილეს მღვიმის წინ - “დაჩხულ” ხეობაში გათხრილი სამარხები, რომლებიც III-IV საუკუნეებს მიეკუთვნება (ცქიტიშვილი, 1953)

ამრიგად, IV-VI საუკუნეებში სამარხთა გიპები მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. წინა პერიოდთან შედარებით, ფორმების მრავალგვარობა საგრძნობლად მცირდება, ასევე მცირდება სამარხეული ინვენტარის რაოდენობაც. მიუხედავად ამისა, IV-VI საუკუნეებში მაინც შენარჩუნებულია რამდენიმე გიპი სამარხისა, ამასთანავე, ზოგიერთი გიპი მხოლოდ ერთ ლოკალურ არეალში ფიქსირდება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამარხთა ფორმების ასეთი განსხვავება გარკვეულწილად კავშირშია ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა კულტურებთან მეტნაკლები სიახლოვით. ახალმა რელიგიამ – ქრისტიანობამ ზემოთ აღნიშნულ პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, რადგან რელიგიური შეხედულების შეცვლა პირდაპირ აისახება დაკრძალვის რიგუალსა და სამარხის გიპზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აფხაზაგა, ნ.** აღრეული შუა საუკუნეების საქართველოს ნივთიერი კულტურა. მეცნიერება. თბილისი. 1982
2. **აფხაზაგა, ნ.** ქვემო ალგვი აღრეულ შუა საუკუნეებში. მეცნიერება. თბილისი. 1988
3. **ინაიშვილი, ნ.** ციხისძირის ახ. წ. I-IV საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. მეცნიერება. თბილისი. 1993
4. **კვიციანი, ზ.** დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის (ახ.წ. I-IV სს). თბილისი 1997 წ.
5. **ლომთათიძე, გ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგვისა და ივრის ხეობებში. მეცნიერება. თბილისი. 1979
6. **ლომთათიძე, გ.** საქართველოს მოსახლეობის კულტურული ყოფა I-XIII საუკუნეებში. მეცნიერება. თბილისი. 1977
7. **ლორთქიფანიძე, გ.** ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი 1991
8. **მცხეთა I**, რელ: აფაქიძე, ა; გობეჯიშვილი, გ; ლომთათიძე, გ. და სხვ. თბილისი. 1955
9. **რამიშვილი, რ.** ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. სიონი. მეცნიერება. თბილისი. 1970
10. **საქართველოს არქეოლოგიის საკითხები II**, მეცნიერება. 1978
11. **სინაურიძე, მ.** გვიანანტიკური და აღრეფოლალური ხანის სამარხები ყოლოთიდან. სსმმ, მეცნიერება. თბილისი. 1967
12. **ცქიტიშვილი, მ.** საგვარჯილეს ორმოსამარხები. ივ ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური კრებული. თბილისი. 1953
13. **ჭილაშვილი, ლ.** ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი. 1964
14. **Арутюнян, В. Сафарян, С.** – Памятники армянского зодчества. Москва. 1951
15. **Пачикашвили, Н.** – Погребальные сооружения и обряд захоронения в Рустави в I тыс. н. э. – Археология, Этнология и Фольклористика Кавказа. Ереван 2003.
16. **Трапш, М** – Некоторые итоги раскопок Цебельдских некрополей в 1960-1962 г. 1963

თამაზ ღარჩიძე

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის II კურსი.
მეცნიერ ხელმძღვანელი: ამირან კახიძე*

რკინის ლაზური ცულები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო კოლხური კულტურის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, რასაც მოწმობს ამ მხარეში ამ ეპოქის არა ერთი ძეგლის აღმოჩენა და შესწავლა.

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და ახალი ათასწლეულის დასაწყისში საქართველო განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადადის და ერთ კავკასიურ სივრცეში ექცევა. ამ ამრს ამყარებს ის ფაქტი, რომ უკვე ძვ.წ. XII საუკუნისათვის რკინის იარაღებს იყენებენ, როგორც სამარხეულ ინვენტარს.

ახალი ათასწლეულის I მეოთხედი რკინის ფართო ათვისებით ხასიათდება, რკინა უკვე შეიჭრა ცხოვრებისეულ სფეროებში. რკინის იარაღების გამოჩენამ წინ წასწია შრომის ნაყოფიერება, ასევე გადამწყვეტად იმოქმედა გეარონული საზოგადოების დაშლის პროცესზე. ქართველი გომები სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ.

როცა ვსაუბრობთ რკინის იარაღებზე, ცალკე უნდა გამოვეყოთ რკინის ცულები, რომლებიც დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. რკინის ცულები მას შემდეგ განვითარდა, რაც ბრინჯაოს ცულმა მოჭამა თავისი ღრო და აღამიანებმა რკინისაგან დაიწყეს იარაღების დამზადება. შეიძლება ითქვას, რომ რკინის ცულები

უნდა გაჩენილიყო ბრინჯაოს კოლხური ცულების არსებობის ხანაშივე, დროთა განმავლობაში რკინის ცულები საყოველთაოდ გაბატონებულ მდგომარეობაში ჩანს. ჩვენ ცალკე გამოვყოფთ რკინის ცულების ერთ ჯგუფს, რომლებიც აღმოჩენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და მას „ლაზური ცულის“ სახელით ვიწნობთ.

გვიანანტიკურ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ყოფაში მკვიდრდება ახალი სამეურნეო იარაღი რკინის ცულის სახით. ხის მასალის დამუშავების პროცესში ის მეგად პრაქტიკული იყო. აღნიშნული ეპოქის რკინის ცულის ძირითადი საწარმოო კერა და გავრცელების არეალი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ჭანეთ-ლაზეთის მხარე იყო. თუმცა, ის საქართველოს თითქმის მთელ სანაპირო ზოლზე ვრცელდებოდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აჭარის გერიგორიაზე აღმოჩენილი რკინის ლაზური ცულების ნიმუშები.

„ლაზურ ცული“ გამოირჩეულია ქართული რკინის ცულების სხვა სახეობებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ის ხელოსანთა იარაღია. მას ძირითადად ხის ოსტაგები გამოიყენებდნენ. როგორც პროფესორი ნ.კახიძე აღნიშნავს, თავდაპირველად ასეთ ცულები მხოლოდ ლაზი მჭედელების მიერ მზადდებოდა (კახიძე, 2005:13).

კოლხური რკინის ცულების მსგავსი ცულები „ლაზური ცულების“ სახელწოდებით დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში იმ განსხვავებით, რომ მას აქვს ფართო, ბრგყელი და მაღალი პირი; ოთხკუთხა განივკვეთიანი საგარე ხვრელი (კახიძე, ვიკერსი, 2004: 128).



„ლაზურ ცულს“ სხვაგვარად „გრაპიზონულ ცულადაც“ მოიხსენიებენ, მას აიგივებენ XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიერ გარაპიზონის აღწერისას მოხსენიებულ ცულთან (კახიძე, 2005:13).

აჭარის გერიგორიაზე რკინის ცულების აღმოჩენა ციხისძირის სამაროვნის სახელთანაა

დაკავშირებული. ციხისძირის რკინის ცული ახ.წ IV საუკუნით თარიღდება, ის ძალიან ახლოსაა წებელდის სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილ ცულებთან.

ციხისძირის სამაროვანზე შესწავლილი იქნა გვიანანტიკური, აღრეშუასაუკუნეების ფენაში ამფორასამარხი (№ 1), სადაც სხვადასხვა ნივთებს შორის (წითელლაკიანი თევში, მინის სანელსაცხებლე, მინის ფიალა, რკინის შუბისპირი, რკინის დანა, კაჟის ანამგვრევი, რკინის ფიბულა, ბრინჯაოს ფიბულა, ბრინჯაოს აბზინდა, მძივები) აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო რკინის ცული (ცმ 83/7), რომელიც თავის მხრივ ოთხკუთხა განივკვეთიანია, ყუის ზედა ნაწილი დაბრტყელებულია, აქვს ვიწრო ყელი და მოკლეფრთიანი სამუშაო პირი (ინაიშვილი. 1993:83). მისი ზომებია: სიგრძე 15 სმ, საგარე ხვრელის დიამეტრი 5X2.5 სმ.

რკინის ცულების შემდგომი აღმოჩენა ფიჭვნარის სახელთანაა დაკავშირებული, 1998 წელს საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივმა ექსპედიციამ ძვ.წ V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლის გერიგირიაზე შეისწავლა ახ. წ IV-V სს. სამარხები. ამ ეპოქის სამარხების გამოჩენა ახალი საკვლევი მიმართულებაა ფიჭვნარის უდიდეს სამაროვანზე. სწორედ ამ სამარხებში აღმოჩნდა რკინის ცულები.



ფიჭვნარის ახ.წ IV-V საუკუნის რკინის ცულები აღმოჩნდა სამ სამარხში (177, 178, 179) სხვა ნივთებთან ერთად. 2 ცული წელის არეში დაფიქსირდა, ხოლო ერთი – მარცხენა ხელის არეში, როგორც ჩანს, მიცვალებულს ის ხელში ეჭირა (კახიძე, ვიკერსი, 2004:124).

პროფ. ამირან კახიძე გვაძლევს ფიჭვნარში აღმოჩენილი ცულების აღწერასაც. ცულთაგან ერთ-ერთი ყუაკვერიანია, აქვს მრგვალი საგარე ხვრელი და მასიური ოთხწახნაგა პირისაკენ ოდნავ მოხრილი, შევიწროვებული ტანი. მეორე ცულს მრგვალი ყუა და საგარე ხვრელი აქვს, მისი

მაღალი, ბრტყელი ტანი ოდნავ მოხრილია, აქვს სამკუთხა მოყვანილობის ოთხკუთხა პირი. მესამე ცულსაც მსგავსი, ოთხკუთხა მოყვანილობის პირი აქვს.

ფიჭვნარში ცულებთან დაკავშირებული აღმოჩენებით დასტურდება, რომ კოლხური რკინის ცული მრავალი საუკუნის წინაა შექმნილი და მას საუკუნეების მანძილზე გამოიყენებდნენ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობის პროცესში. ის გამორჩეულია თავისი ხარისხითა და გამძლეობით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ სახის რკინის ცულები ცნობილია ურეკის სამაროვნიდანაც. რკინის ცულის უკანასკნელი აღმოჩენა 2009 წლის გაზაფხულზე მოხდა: ურეკში, კერძოდ, გრიგოლეთში, ადგილ „ყვავილნარში“ მოქალაქე შოთა მანაგაძემ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოაჩინა მდიდარი სამარხეული კომპლექსი, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა ნივთისაგან. მონაპოვართა შორისაა ვერცხლის მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს სამედიცინო კოვზები, 11 ცალი იმპორტული მონეტა, მინის ფიალა, მინის სანელსაცხებლე, სფეროს ფორმის კიდევ ერთი მინის სანელსაცხებლე ჭურჭელი, რომელიც მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ის ერთადერთია ამ რეგიონში; ამავე სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილია წელშემნეჭილი ამფორა, მოზრდილი ფეხიანი ჯამი, 2 ცალი რკინის შუბისპირი და ჩვენთვის საინტერესო რკინის ცული.

აღმოჩენილი ნივთთა სიმრავლე და მათი სამეცნიერო მნიშვნელობა ხაზს უსვამს, რომ ურეკის სამაროვანი ჯერ კიდევ ელის აღმოჩენას. ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზი გვაძლევს ურეკის სამაროვანის დათარიღების საშუალებას. ურეკის სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილი ნივთები ახ.წ III – IV საუკუნეს მიეკუთვნება.

ურეკის რკინის ლაზურ ცულს აქვს ბრტყელი მოგრძო ფართო, ოთხწახნაგა პირი, ოვალურგანივკვეთიანი და ასევე გრძელი საგარე ხვრელი, ვიწრო, ოთხწახნაგა მოხრილი ტანი. მისი ზომებია: სიმაღლე 15 სმ, პირის სიგრძე 11 სმ, საგარე ხვრელის დიამეტრი 4X3 სმ.



ურეკის რკინის ცული თავისი აღნაგობით ძალიან ახლოსაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა დროს აღმოჩენილ რკინის ცულებთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რკინის ლაზური ცულები ვრცელდებოდნენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიც. ზემოთ აღნიშნულ ცულებთან გიპოლოგიურად ძალიან ახლოსაა აფხაზეთში, წებელდასა და აპუშგას არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსებში შესწავლილ რკინის ცულებთან (Воронов, Вознюк, Юшин, 1970:188). აფხაზეთში გვიანანტიკური ეპოქის სამარხებში აღმოჩენილი რკინის ლაზური ცულები შედარებით მასიურია, აქვთ ბრტყელი და ფართო პირი, მომადლო განი. როგორც ჩანს, ის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რკინის ლაზური ცულების ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს, აღსანიშნავია ის, რომ სამარხები, რომლებშიც ცულები აღმოჩნდა, III-IV საუკუნეებს მიეკუთვნება (Воронов, Вознюк, Юшин, 1970:175).

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (პეგრა-ციხისძირი, ფიჭვნარი, ურეკი) აღმოჩენილი გვიანანტიკური – ადრე შუა საუკუნეების რკინის ცულების ერთი სახეობა შეიძლება ლაზურ ცულად მივიჩნიოდ. ასევე შეიძლება ითქვას, რომ რკინის ლაზური ცული გავრცელებული ჩანს არა მხოლოდ საკუთრივ ლაზეთში, არამედ თითქმის მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გერიგორიაზე. ის აქტიურ ხმარებაში ჩანს გვიანანტიკური ხანიდან, განსაკუთრებით – ადრე შუა საუკუნეებიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემდგომი ხანის რკინის ლაზური ცულების აღმოჩენა არ დაფიქსირებულა, მათი არსებობის შესახებ XVII-დან მხოლოდ წერილობითი წყაროები საუბრობს, როგორც ითქვა, ბოლო წლებამდე რკინის ლაზური ცული ფართოდ გამოიყენებოდა აქაურთა ეთნოგრაფიულ ყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I თბილისი 1970 წ. გვ 286, 290.
2. კახიძე ა., ვიკერსი მ., ფიჭვნარი I, თბილისი 2004 წ.
3. ინაიშვილი ნ, ციხისძირის ახ. წ I–VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. სლსმ XXI, თბილისი, 1993. გვ. 83.
4. კახიძე ნ., ლაზი ოსტატების წვლილი ქართული მელითონეობის ისტორიაში. ნბიშ IV, ბათუმი, 2005 წ. გვ.13
5. Воронов Ю. Н, Вознюк А. С, Юшин В. А. Апуштинский могильник IV-VI вв. Н.Э. В Абхазии. СА I. 1970, 175-190.

ანდრო სამხარაძე

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის II კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: სულხან კუპრაშვილი*

საქართველოს ისტორიის საბითუმები ზოგიერთ რუსულ წყაროში

აღნიშნულ საკითხს ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე რუსული წყაროს მიხედვით. პირველი გახლავთ „კავკასიის კალენდრის“ რამდენიმე ნომერი, რომლებშიც მოცემულია მე-19 საუკუნის რუსი ისტორიკოსების მიერ დამუშავებული საქართველოს ისტორიის ზოგიერთი პერიოდი. აგრეთვე, ჩვენს მიერ განხილულ იქნა 1900 წელს თბილისში დაბეჭდილი მიხეილ გლუშკოვის საქართველოს ისტორია.

სანამ საკითხის უშუალო განხილვას შევუდგებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ რას წარმოადგენდა „კავკასიის კალენდარი“ და როგორი თბიქტურობით აშუქებდა ის ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

„კავკასიის კალენდარი“ წარმოადგენდა პერიოდულ გამოცემას, რომელიც იბეჭდებოდა თბილისში 1846 წლიდან 1916 წლის ჩათვლით. ყოველწლიურად გამოდიოდა ერთი ნომერი, რომლის მოცულობა დაახლოებით 500 ნაბეჭდ გვერდს შეადგენდა. აღნიშნული გამოცემის შექმნას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარებისა და განმტკიცების შემდეგ ცენტრალური საიმპერატორო ხელისუფლება დაინტერესებული იყო დეტალურად შეესწავლა კავკასიის რეგიონის

საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება, განსაკუთრებით კი ახლად დაკავებული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური პრიორიტეტები. სწორედ ამიტომ „კავკასკი კალენდარი“ წარმოადგენდა ცარიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს კავკასიაში.

გამოცემის ყოველი ნომრის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „კალენდრის“ შექმნის იდეა მოდიოდა საიმპერატორო კარიდან და მის გამოცემას პირადად კურირებდა კავკასიის მეფისნაცვალი, რომლის საკანცელარიო მმართველობის სტამბაში ხდებოდა ცალკეული ნომრების გამოცემა. „კავკასკი კალენდრის“ ყოველი ნომერი შედგენილია ჩვეულებრივი კალენდრის პრინციპით, მაგრამ ეს იმდენად მაღალ დონეზეა გაკეთებული, რომ შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიოში შექმნილ ანალოგიურ გამოცემებს შორის.

როგორც აღვნიშნეთ, „კავკასკი კალენდრის“ თითოეული ნომერი საკმაოდ სქელგანიან გამოცემას წარმოადგენს, როგორც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. ჩვეულებრივ, ამ განყოფილებების რაოდენობა მე-19 საუკუნეში გამოშვებულ ნომრებში ძირითადად ხუთი არის ხოლმე: 1. საეკლესიო განყოფილება; 2. საზოგადოებრივი და საცნობარო განყოფილება; 3. კავკასიის მხარის ისტორიული, გეოგრაფიული და სტატისტიკურ აღწერილობათა მასალების ერთობლიობა; 4. ლიტერატურული დამატებანი; 5. „კავკასკი ადრეს-კალენდარი“

აღსანიშნავია, რომ მეოთხე განყოფილებაში, რომელსაც ზოგადად ლიტერატურული დამატებანი ეწოდებოდა, ძირითადად, ისტორიული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ხასიათის სტატიები იბეჭდებოდა.

„კავკასკი კალენდრის“ მე-19 საუკუნის გამოცემების ყოველი ნომრის მესამე განყოფილება იწყება ისტორიული ხასიათის გამოკვლევით, რომლის სრული სახელწოდება არის: ღირსშესანიშნავი მოვლენები კავკასიასა და ამიერკავკასიაში და რუსეთის იმპერიის მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი ამ მხარეში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „კავკასკი კალენდრის“

მე-2 განყოფილებაში გვაქვს „ქრონოლოგიური ჩამონათვალი“ და იგი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა. ჩვენს მიერ დასახელებულ ნაშრომსაც სხვაგვარად მისი შემდგენლები „ქრონოლოგიურ ჩვენებებს“ უბრალოდ „ქრონოლოგიას“ უწოდებდნენ. როდესაც საუბარია „კავკასიის კალენდრის“ ქრონოლოგიაზე, იგულისხმება „ქრონოლოგიური ჩვენებები“ და არა გამოცემის მე-2 განყოფილებაში დაბეჭდილი „ქრონოლოგიური ჩამონათვალი“. „ქრონოლოგია“ მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ისტორიის შესახებ. ის ერთგვარ გზამკვლევეს, შეიძლება ითქვას, სახელმძღვანელოს შეკვეცილ ვარიანტს წარმოადგენდა აღნიშნული რეგიონის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის. „ქრონოლოგიას“ თავისი აქტუალურობა თანამედროვე პერიოდშიც არ დაუკარგავს და წარმოადგენს თარიღების ერთობლიობას შესაბამისი კომენტარებით. „ქრონოლოგიის“ უმთავრესი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მის შემდგენლებს არ გამორჩენიათ საქართველოსა და სომხეთის ისტორიის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ არ დაეთარიღებინათ და შესაბამისი კომენტარი არ გაეკეთებინათ მისთვის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქრონოლოგია უფრო მეტად საქართველოს ისტორიის წარსულის ამსახველ მოვლენებს უკეთებს კომენტარს. „ქრონოლოგიის“ პირველი თარიღი აუცილებლად ძვ.წ. 2500 წელია, რომლითაც მისი ავტორები მსოფლიო წარდენას ათარიღებენ, ხოლო ბოლო თარიღი კალენდრის კონკრეტული ნომრის გამოცემის წელია. ეს კომენტარები, ნაწილობრივ, ისტორიული მოვლენის გარკვეულ ანალიზსაც წარმოადგენს. ისმის კითხვა, რამდენად ახლოსაა „ქრონოლოგიის“ თარიღები და მისი კომენტარები ისტორიულ სინამდვილესთან? ეს თარიღები მოძიებული და გაანალიზებულია მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, რა წყაროებსა და იმხანად არსებულ მწირ სამეცნიერო ლიგერატურას ეყრდნობოდნენ ავტორები და ისიც, ვინც აღგენდა თუ აღგენდნენ ამ „ქრონოლოგიას“. მასზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყველა თარიღი და მისი კომენტარი მოყვანილია არა

მხოლოდ ქართულ (ან სომხურ) ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით, არამედ უცხოური ცნობების გათვალისწინებითაც. ისტორიული თარიღების ქრონოლოგიური ნუსხა – ეს არ არის მხოლოდ კავკასიის ქვეყნების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ჩამონათვალი, არამედ იგი შეჯერებულია კავკასიის მეზობელ ხალხთა და ქვეყნების იმ მოვლენების კომენტარებით, რომლებიც ისტორიის გარკვეულ პერიოდებში გავლენას ახდენდნენ კავკასიის ხალხების ცხოვრებაზე. „ქრონოლოგიაში“ ჩვენ ვხვდებით ძვ. საბერძნეთის, ეგვიპტის, რომის, ირანის, თურქეთის, ბიზანტიის, რუსეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიულ თარიღებს, როგორც აღვნიშნეთ, თარიღების აღნუსხვა ძვ. წ. 2500 წლიდან იწყება მე-19 საუკუნის ჩათვლით, მაგრამ ამ ჩამონათვალში ერთგვარ გამმიჯნავ ზღვარს წარმოადგენს ჯერ 1801 (აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ) და შემდეგ 1810 წელი (იმერეთის სამეფოს გაუქმება). თუ მანამდელი თარიღების დაახლოებით 90 პროცენტი პოლიტიკური ხასიათისაა, 1810 წლის შემდეგ „ქრონოლოგიის“ დადგენილების აღწერით შემოიფარგლებიან. ეს ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ცარიზმი კავკასიას საკუთარი გერიგორიის ნაწილად აღიქვამდა და არ სურდა ყურადღება გაემახვილებინა პოლიტიკური ხასიათის იმ მოვლენებზე, რომლებიც ძირითადად იმპერიული ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. „კავკაზსკი კალენდრის“ „ქრონოლოგიურ ჩვენებებში“ მოცემული გვაქვს საქართველოს ისტორიის 100-ზე მეტი თარიღი და მათი კომენტარი. ამ მხრივ ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის, რომ სამხრეთ საქართველო ამ თარიღობრივ მაჩვენებლებში მხოლოდ ოთხი, ხუთი ან მაქსიმუმ ექვსი მოვლენის კომენტარით არის წარმოდგენილი. მაინც, როგორ არის განხილული სამხრეთ საქართველოს ისტორია?

ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია ზოგიერთი ისტორიული მოვლენა, მაგალითად აღვნიშნულია, რომ ძვ.წ 400 წელს 1000-მა ბერძენმა მოქირავენემ ქსენოფონგესთან ერთად ილაშქრა სომხეთში. არადა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბერძენმა მოქი-

რავენებმა სამხრეთ საქართველოზე გაიარეს 401 წელს და ამას თვით ქსენოფონტეც აღიარებს თავის „ანაბასისში“. ბერძნებს ამ დროს საკმაო სამხედრო კონტაქტები მოუწია ქართველებთან.

„ქრონოლოგიაში“ არის ერთი ასეთი თარიღი – 700 წელი და მის გასწვრივ აღნიშნულია, რომ ამ დროს სამცხე-ჯავახეთში პირველად მმართველებად მოგვევლინენ ბაგრატიონები. ბაგრატიონები სპერიდან არიან და ეს ძველი ქართული მხარე საქართველოს შემადგენლობაში ხშირად გვევლინება, მაგრამ არა 700 წელს, ძლიერი არაბული ექსპანსიის დროს. ბაგრატიონები კი ოფიციალურად ქვეყნის მეთაურებად მე-9 საუკუნის 70-იან წლებში გვევლინებიან ქართლის ანტიირანული აჯანყების დროს.

სამწუხაროდ, რუს ავტორებს დაშვებული აქვთ ერთი ძალიან დიდი უზუსტობა – სამცხეში ჯაყელების მმართველობის პერიოდად მათ 1285-1306 წლები აქვთ მოცემული, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

კიდევ ერთი თარიღის შესახებ ქრონოლოგიაში მითითებულია, რომ 1578 წელს ირანმა და თურქეთმა გაიყვეს სამცხე-საათაბაგო. სამცხე ირანმა და ოსმალეთმა 1555 წელს გაიყვეს, ხოლო 1578 წელს იწყება მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობა, რომლის შემდეგ სამხრეთ საქართველო მთლიანად გადავიდა თურქეთის ხელში, 1579 წლიდან კი თურქებმა დაიპყრეს გურჯისტანის, ანუ ჩილდირის ვილაიეთი, რომელიც ახალციხის საფაშოს სახელით უფრო არის ცნობილი.

1869 წლის „კავკასკი კალენდრის“ ნომერში დაიბეჭდა ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლის ალექსეი გოლოვინის საქართველოს ისტორია (Об истории Грузии). ამ 200-გვერდიან ნაშრომში მოცემული გვაქვს საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1807 წლამდე. ისევე, როგორც სხვა ისტორიკოსებთან, ა.გოლოვინთანაც ძალიან ცოცხა არის მოთხრობილი სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ.

1. ა.გოლოვინი აღნიშნავს, რომ 627 წელს ჰერაკლე კეისრის ჯარში დიდი ადგილი ეკავა „მესხურ კავალერიას“. ჩვენი აზრით, ამ გერმინში რუსი ავტორი უნდა გულისხმობდეს ბიზანტიელების

მხარეს მეომარ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას.

2. აგოლოვინი ამის შემდეგ სამხრეთ საქართველოს თემას მხოლოდ ორჯერ წამოწევს. პირველად ის საუბრობს დავით ულუს 1260 წლის აჯანყებაზე მონღოლთა წინააღმდეგ და არსად ახსენებს ამ მოვლენის მთავარ მოქმედ პირს – სარგის ჯაყელს და მას მხოლოდ იმ პიროვნებად მიიჩნევს, რომელმაც სამცხე ჩამოაშორა საქართველოს. რაგომდაც რუსი ავგორი არ საუბრობს სარგის ჯაყელის იმ პოზიტიურ როლზე, რომელიც მან ითამაშა დავით ულუს გადარჩენაში აჯანყების დამარცხების შემდეგ.

3. ამის შემდეგ ალექსეი გოლოვინი სამცხის თემას ახსენებს გიორგი ბრწყინვალესთან დაკავშირებით. საინტერესოა, აგოლოვინს გიორგი ბრწყინვალე დავით აღმაშენებლის მასშტაბის მოღვაწედ მიაჩნია, როდესაც აღნიშნავს, რომ დიდი წინაპრის მსგავსად, კავკასიის გაერთიანება „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“ გიორგი მეხუთემაც საქართველოს გაერთიანებით დაიწყო. ავგორი საუბრობს რა მეფის მიერ საქართველოს გაერთიანებაზე ზუსტად მიუთითებს, რომ 1330 წელს შემოერთებული იქნა დასავლეთ საქართველო, ხოლო 1334 წელს სამცხე-საათაბაგო. ა. გოლოვინის აზრით, 1334 წელს გარდაიცვალა ბექა ჯაყელი, რომლის შვილიშვილი ყვარყვარე მეფემ თვითონ დასვა ათაბაგად. სინამდვილეში ბექა 1327 წელს გარდაიცვალა და გიორგიმ ათაბაგად ბიძამისი ბექა დაადგინა, რომელიც გარდაიცვალა სწორედ 1334 წელს. ბექა ჯაყელს ავგორი გიორგის აღმზრდელად მიიჩნევს, თუმცა არსად არ ასახელებს, თუ რა ნათესაობა ჰქონდა საქართველოს მეფეს სამცხის სამთავრო კართან. აქვე სამცხის სამთავროსთან დაკავშირებით აგოლოვინი ერთ მიგნებულ დასკვნას აკეთებს. კერძოდ იმას, რომ „ამ მოვლენების შემდეგ სამცხის ძლიერი ერისთავები საქართველოს მხოლოდ იმ მეფეებს ემორჩილებოდნენ, რომლებიც უმკლავდებოდნენ და ამარცხებდნენ გარეშე მტრებს, ხოლო სამეფო ხელისუფლების შესუსტების შემდეგ, რაც გამოიწვია ქვეყნის შიგნით არეულობამ, დრო იხელთეს და დამოუკიდებლობა მოიპოვეს“.

ბუნებრივია, ა.გოლოვინის ყურადღების არეში მოქცეული არის გიორგი V ღონისძიებანი საქართველოს მთიანეთში. მეფის ორგულ მთიულების მოკავშირეებად ავგორს რაგომლაც ოსები მიაჩნია, რომლებიც მთიულებთან ერთად კვლავ აოხრებდნენ ქართლს. ოსთა კავშირი მთიულებთან ავგორმა შეიძლება ინს-გინქგურად ივარაუდა, ხოლო რაც შეეხება საქართველოს მთის მოსახლეობას, მეფემ მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმის გამო, რომ მთაში მონღოლთა ბაგონობის შედეგად სახელ-მწიფოებრიობა ძალზე შეირყა და განუკითხაობა სუფევდა. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ა.გოლოვინს საჭიროდ არ მიუჩნე-ვია კომენტარი გაეკეთებინა გიორგი მეხუთის სამართლებრივი ღონისძიებებისათვის საქართველოს მთიანეთში.

ჩვენდა სამწუხაროდ, არ ხერხდება დავადგინოთ, კიდე რა დამოკიდებულება ჰქონდა იმპერიულ ისტორიოგრაფიას სამხრეთ საქართველოს მიმართ. თუმცა გვინდა აღვნიშნოთ, რომ არც საკუთარ ქართულ ისტორიოგრაფიას ვყავართ განებივრებული სამხრეთ საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების შესწავლით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის საკითხები „кавказский календарь“-ის ფურცლებზე.

გურამ ჩხატარაშვილი

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის I კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: შოთა მამულაძე*

შავშეთის მატარიალურ-ხელბურული ძეგლები (სათლელის სვეტის ციხე)

ყველა ქვეყანას აქვს ისეთი ადგილი, რომელიც წარსული დიდების სიამაყეა, წინაპართა ცოცხალი მაგიაწეა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისტორიული გაო-კლარჯეთის ტერიტორია, სადაც უამრავი არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლი მდებარეობს, რომელთა უმეტესი ნაწილი, სამწუხაროდ, შეუსწავლელია. სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება შავშეთში სათლელის (სვეტის) ციხე.

ციხის მშენებლობა დაკავშირებულია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებთან X-XI საუკუნეებში. სწორედ იმ მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელშიც იმ დროს იმყოფებოდა საქართველო, განაპირობა ციხეებისა თუ სხვა სასიმაგრო მნიშვნელობის ნაგებობათა აგება. სუმბაგ დავითის-ძის მიხედვით, ციხე 1028 წელს საბა მგებვარს აუგია, მაშინ, როცა საქართველოს ბიზანტიელთა სარდალი პარკიმაწოსი უგევედა.

ციხეს საკმაოდ სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. იგი აკონტროლებდა როგორც იმიერხევისა თუ შავშეთზე აჭარისწყლის ხეობის სხვადასხვა პუნქტებზე გამავალ გზებს, ისე კლარჯეთთან დამაკავშირებელ უძველეს გზებს.

ციხის გერიგორიაზე მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები ჩანს, რომელთა მნიშვნელობის განსაზღვრა აქ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გახდება შესაძლებელი.

როგორც ითქვა, X-XI სს-ის მიჯნაზე საქართველო პოლიტიკურად დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მზარდი ფეოდალური ქვეყანა ბიზანტიას შეეჯახა. საქართველოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით XI ს-ის 20–იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში დაიძაბა. სადავო და ბრძოლის ობიექტი გახდა დავით კურაპალაგის ყოფილი სამფლობელოს გარკვეული რაიონები და ციხესიმაგრეები. ამ ნიადაგზე 1021-1022 წლებში გიორგი I მეფობის ხანაში, ორჯერ გაიმართა მკაცრი ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის. ბევრი სისხლი დაიღვარა და დასახლებული პუნქტიც განადგურდა [კოპალიანი, 1972: 176].

XI ს. დასაწყისში ბიზანტიის იმპერიამ საქართველოს ჩამოაშორა იმიერ ტაო (სამხრეთ ტაო) – დავით კურაპალაგის სამემკვიდრეო. უნდა ითქვას, რომ ამ სამფლობელოზე იურიდიულად ბაგრატ III უფლება აღარ ჰქონდა, რადგან დავით კურაპალაგმა არა მარტო თვითონ მისცა პირობა ბასილის, რომ სიკვდილის შემდეგ თავის სამფლობელოს მას უანდერძებდა, არამედ ბასილთან გაგზავნა თავისი აზნაურები, რომელთაც მას ფიცით პირობა მისცეს, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ თავის ციხეებს გადასცემდნენ [ლორთქიფანიძე, 1979: 175].

მართლაც, დავით კურაპალაგის გარდაცვალების შემდეგ, **“გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალაგისა”**... [სუმბაგ დავითის-ძე, 382].

სრულიად აშკარაა, რომ დავითის აზნაურებმა მიცემული პირობის საფუძველზე გადასცეს ციხეები ბასილს, რომელმაც ტაოსაგან შექმნა იბერიის თემი – საკაკაბანო და იქ მმართველად ბერძენი კაკაბანი დანიშნა.

სამხრეთ ტაოს ბიზანტიის ხელში გადასვლით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ზღუდე მოერღვა. ამ გერიგორიას დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ბიზანტიისათვის, რომელიც აქედან ავრცელებდა თავის ექსპანსიას საქართველოსა და სომხეთზე, ისე საქართველოსა და სომხეთისათვისაც [ბერძენიშვილი, 9].

ამდენად, იმიერ ტაოს დაკარგვა მძიმე მარცხი იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის და ამიგომ გასაგებია, რომ გაერთიანება-გაძლიერების გზაზე მდგარი ქვეყანა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ეცდებოდა ამ მარცხის გამოსწორებას [ლორთქიფანიძე, 1969: 39]. ამისთვის ხელსაყრელ მომენტად გიორგი I ჩათვალა ბასილი II ომი ბულგარელებთან (1014-1016 წწ), შეიჭრა სამხრეთ ტაოში **“და დაიკავა ის სიმაგრეები და მხარეები, რომელნიც მისმა ბიძამ, დავით კურაპალატმა დაუთმო მეფე ბასილს”** – ბულგარელებთან ომიდან ძლევამოსილებით დაბრუნებული ბასილმა გიორგის დაკავებული ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა. გიორგიმ იმპერატორის მოთხოვნაზე უარი განაცხადა, რასაც სწორედ მოჰყვა მემოთ აღნიშნული ბიზანტია-საქართველოს 1021-1022 წწ. ომი, სადაც ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. [ლორთქიფანიძე, 1979: 178].

1023 წ. ბიზანტიასთან დადებული ზავი საკმაოდ მძიმე პირობებს ითვალისწინებდა საქართველოსთვის. გიორგისადმი უნდობლად განწყობილმა იმპერატორმა მას მძევლად უფლისწული მოსთხოვა, ამასთანავე, ბიზანტიამ დაიკავა ყველა ის ციხე, რაც მანამდე პირობით თუ ძალით ჰქონდა დაჭერილი.

XI ს. დასაწყისიდან ბიზანტია–საქართველოს ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება. ამიერიდან ბიზანტიის იმპერიას ძირითადად გაერთიანებულ საქართველოსთან აქვს საქმე და მას აღარ შეუძლია საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროების ურთიერთშორისი მგრობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, თუმცა ჩნდება მეორე მომენტიც. კერძოდ, იმავე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში ბიზანტიის აგრესიული პოლიტიკის ხელშემწყობი სხვა მოვლენა იჩენს თავს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამიერიდან საიმპერიო ხელისუფლება ახალ მოკავშირეებს გაიჩენს საქართველოში მსხვილი ფეოდალების სახით და მათი დახმარებით XI ს.

60-იან წლებამდე ძლიერ ბრძოლას აწარმოებს საქართველოს დასასუსტებლად, მის დასამორჩილებლად [კოპალიანი, 1967: 130].

სუმბაგ დავითის-ძის გადმოცემით, ბაგრაგის გამეფებისთანავე (1027 წ) **“აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე, და ამათთან უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უცხონი განუდგეს ბაგრაგს და მიერთნეს კონსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა”**... [სუმბაგ დავითის-ძე, 385].

აქვე საჭიროა განიმარტოს, **“უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა”**, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტაოს აზნაურთაგან უმრავლესობა მათ გაჰყვა. გაყოლილთაგან, როგორც ფიქრობენ, ბევრს ძალით მოახვიეს თავიანთი სურვილი ბანელმა და კარიჭის ძემ.

შავშეთიდანაც პირველად ამ მხარის ადმინისტრაციული მეთაური და უმსხვილესი ფეოდალი ჩანჩუხა ერისთავი მიემხრო ბიზანტიას, რომლის ორიენტაციას შავშეთის აზნაურთა უმრავლესობა და ძირითადი მასა მხარს არ უჭერდა, რადგან უკანასკნელთათვის ბიზანტიის ხელისუფლებისა და მისი კანონების ქვეშ ყოფნა ხელსაყრელი არ უნდა ყოფილიყო.

ტაო-კლარჯეთის აზნაურთა უმრავლესობისა და ძირითადი მასის ბიზანტიისადმი უარყოფითი განწყობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ბიზანტიამ ტაო-კლარჯეთის დამორჩილება ვერ შეძლო [ჯავახიშვილი, 325].

1028 წელს, როგორც დავით სუმბაგის ძე გადმოგვცემს – **“წელსა მეორესა ბაგრაგის გამეფებისასა”**, საქართველოს ბიზანტიის სარდალი პარკიმანოსი შემოესია დიდი ჯარითურთ და ქვეყნის აოხრება დაიწყო. ასეთი განსაცდელის დროსაც აზნაურებმა თავიანთი ორჭოფული მოქმედებებით ბიზანტიელებს საქმე გაუადვილეს: ბიზანტიის სარდალმა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება იმდენად სამხედრო მოქმედებით არა, რამდენადაც აზნაურთა გადაბირებით მოახერხა. მათი მოქმედებით ქვეყანა და ბაგრაგ IV დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი – **“განდგეს კუალად აზნაურნი და მიცნეს ციხენი ბიზანტიის კეისარს”** [ქართლის ცხოვრება, 385]. და მხოლოდ საბა მგბეგარის თავგამოდებულმა მოღვაწეობამ და შავშეთის ენერგიულმა დაცვამ გადაარჩინა

მთელი ეს კუთხე ბერძენთა მძლავრობისაგან. მან თავისი საეპისკოპოსოს მცხოვრებლებისაგან ჯარი შექმნა და ბიზანტიელთა და მოღალატე ამნაურთა სამხედრო ძალას თავისი სამშობლოს ერთგული, ქართველი ხალხის ძალა დაუპირისპირა [ჯავახიშვილი, 325].

და სწორედ იმ დროს, როდესაც ქვეყანა ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, სამშობლოს დაცვა ქართული ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლებმა იკისრეს. „რა ჟამს იხილა საბა მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იცყო სხუა ღონე, ააგო ციხე თავსა ზელა გბეთისასა, დაიჭირა ქვეყანა შავშეთისა, ქმნა ღიღი ერთგულება ბაგრაგ აფხაზთა მეფისათვის“ [მაგიანე ქართლისაი, 292]. სუმბაგ დაეითის ძე გადმოგვცემს: “ზოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად გბეთის ეკლესიისა და სახელ-სდვა მას სუეტი, და შეკრიბა მაშინ მან ერი თვისი და შევიდეს მას შინა თვით საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის ამნაურნი, და განძლიერდა მას შინა” [სუმბაგ დაეითის-ძე, 386].

ასე რომ, შავშეთის (სუეტის) ციხე საბა მტბევარს 1028 წლისათვის აუშენებია.

ციხე აგებულია მერის წყლისა და შავშეთის წყლის ხერთვისში, შემადლებულ, ხეობისაკენ წინ წამოწეულ სამკუთხა კლდოვან ბორცვზე (სურ. 1; 2). იგი აკონტროლებდა იმიერ ხევზე თუ შავშეთზე აჭარისწყლის ხეობის სხვადასხვა პუნქტებისაკენ გამავალ გზებს, ისე შავშეთის ხეობაზე არგაანისა და მეორეს მხრივ, კლარჯეთთან დამაკავშირებელ უძველეს გზებს. ამ გზებზეა განლაგებული სწორედ IX-X სს. აშენებული კლარჯეთის ქვის თალიანი ხიდების ღიღი ნაწილიც.

ციხის შიდა ფართობი დაახლ. 4 ათას კვ.მ-ს შეადგენს. მის გვემას ძირითადად კლდოვანი რელიეფი განსაზღვრავს. ციხის გაბატონებულ ელემენტს წარმოადგენს დასავლეთის კოშკი (სურ. 3), რომელიც 19 მ სიმაღლისაა და როგორც იქ ამჟამად მიმდინარე გათხრებმა დაადასტურა, 6 სართულს მოიცავს. აქედან კონტროლდებოდა როგორც მთლიანად ხეობები (შავშეთი, მერის), ისე საკუთრივ ციხის ტერიტორია. კოშკის შიგა, ანუ ციხის

ნაწილი ნახევარწრიული მოყვანილობისაა, ხოლო გარე მხარე დაკუთხულია. კოშკის პირველ სართულზე მიმდინარე ამქამინდელი გათხრებით დადასტურდა 2 თონის არსებობა. კოშკში დროთა განმავლობაში 6 მ სიმაღლის მიწის ნაყარი იყო დაგროვილი. მისი გაწმენდისას აქ აღმოჩნდა მეგალ საინტერესო შინსახმარი კერამიკა (ჯამები, ღოჭები, კეცები და ა.შ) (სურ. 4, 5, 6). აქვე მრავლად იყო წარმოდგენილი განვითარებული შუა საუკუნეების (უმეტესად XI-XIII სს) მოჭიქული კერამიკაც (სურ. 7, 8, 9, 10).

ჯერჯერობით მხოლოდ ციხის ერთი კარიბჭე დასტურდება. იგი განთავსებულია გალაგნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელსაც ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები კოშკი აკონკრეტლებდა.

როგორც ჩანს, ციხე სამხრეთ-დასავლეთით დამაგებით ზღუდესაც შეიცავდა. ციხეში მოხვედრა მხოლოდ ამ დამაგებითი ზღუდის გადალახვის შემდგომ შეიძლებოდა. საინტერესო სურათი შეინიშნება ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც. ოღნაგ წინ გაზიდული კედელი ნახევარწრიულია და მას სამხრეთიდან ედგმის დახლოებით ასეთივე 18-19 მ სიმაღლის სწორკუთხა კოშკი (სურ. 11). იგი ციხის კედლის სიმაღლეს 5 მ-ითაა აცილებული. ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ რამდენი სართულისაგან შედგებოდა იგი. არაა გამოორიცხული, წინა კოშკის მსგავსად, ესეც 6 სართულიანი ყოფილიყო. იგი, როგორც ჩანს, ძირითადად ციხის შიდა ტერიტორიის გაკონკრეტლებისათვის იყო განკუთვნილი. არც ის არის გამოორიცხული ამ კოშკის ქვედა სართული ყაზარმად ყოფილიყო გამოყენებული (სურ. 12).

ციხის შიდა სამხრეთი კედელი საკმაოდ მძლავრ კონკრეტორსებსაც შეიცავდა. შიდა ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ეკლესიაც ყოფილა გამართული. იგი ბოლომდე არ არის გამოვლენილი და ამქამად იქ მიმდინარე გათხრების დასრულებაამდე შეუძლებელია მის არქიტექტურულ გიჰზე საუბარი.

ციხის დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის კედლები 2 მეტრის სისქისაა, ხოლო აღმოსავლეთისა ზოგ ადგილას 5 მეტრს აჭარბებს. ციხეს მთლიანად აქვს მორღვეული ჩრდილოეთი კედელი. მისი მოყვანილობის აღდგენა მხოლოდ პირობითაა შესაძლებელი. კედლების წყობა რეგურალურია. იგი

გრანიტისა და ბაზალტის (საშუალო ზომა 40X40 სმ და 30X30სმ) კვადრებითაა ნაგები. მათ შემაკავშირებლად კირხსნარია გამოყენებული.

ციხის შიდა გერიტორიაზე ჩანს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რომელთა დანიშნულებაც აქ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გახდება შესაძლებელი.

ილუსტრაციები



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965
2. კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ, თბ., 1967
3. კოპალიანი ვ., “შირიმნის” – “შირიმთის” ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ, ჟურნ. “მნათობი”, 1972, № VII
4. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979
5. ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1969
6. „მაგიაზე ქართლისაჲ“, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955
7. სუმბაგ დავითის-ძე, ქართლის ცხოვრება, I, 1955
8. ჯაფახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1955

თორნიკე დიასამიძე

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის I კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ბიჭიკო დიასამიძე*

ბანას საეპისკოპოსო

ქართული ხუროთმოძღვრების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მოწმობს სამხრეთ საქართველოს ძეგლები, ერთ-ერთი მათგანია შესანიშნავი საეპისკოპოსო გაძარი ბანა, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ბანა იყო საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცენტრი ისტორიული გაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, მდინარე ბანას მარჯვენა მხარეს, ამჟამად თურქეთის



საზღვრებშია „ფანაკის“ სახელწოდებით [ბერიძე, 1973: 629-630].

ბანას გაძარი უთუოდ ერთი უცნობილეს-თაგანია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის. ვერ ნახავთ ქართული არქიტექტურის ისტორიის ვერც

ერთ ნარკვევს, რომ ბანას თვალსაჩინო ადგილი არ ჰქონდეს დათმობილი. მას ნახულობენ ხოლმე, როგორც წესი, საქართველოს ისტორიული სამხრეთ დასავლეთი მხარეების ძეგლებით

დაინგერესებული მკვლევარნი [მეფისაშვილი, თუმანიშვილი, 1989: 5]. მაგრამ ჩვენი მოხსენების ძირითადი მიზანია ბანას საეპისკოპოსო გპდრის როლის წარმოჩენა შუა საუკუნეების ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ისტორიაში და მისი გავლენა ქართულ რენესანსზე.

ბანას ეპარქია შედიოდა ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენლობაში. მისი მღვდელმთავრები აგარებდნენ ბანელის ან ბანაელის წოდებას. თანამედროვე გამოკვლევებით ითვლება, რომ ბანას თავდაპირველი გპდარი აშენებულია VII ს-ის შუა წლებში, ხოლო ადარნასე ქართველთა მეფის დროს (881-923) იგი განახლებულა გადაკეთებულა და საეპისკოპოსო კათედრად გადაუქცევიათ, რომელიც არსებობდა XVIII ს-ის ბოლომდე [შენგელია, სილოგავა, 2006: 94].

ბანას ეკლესიის აშენების დრო გარკვეულად აქვს აღნიშნული ბაგრატიონთა ისტორიკოსს სუმბაგ დავითის-ძეს, იგი წერს: „ადარნასე, ძე დავით კურაპალაგისა, დასუეს ქართველთა მეფედ... და ამან ადარნასე, ძემან დავით კურაპალაგისამან აღაშენა ბანა ხელითა ბანელისათა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“ [ქართლის ცხოვრება, 1955: 347-348]. ეს აღნიშვნა სწორედ ბანას ხელმეორედ აგებას უნდა უკავშირდებოდეს.

ვახუშტი ბაგონიშვილი ასე აღწერს ბანას: „ამ წყალმედ (ბანა ფანასკერგის წყალმედზე), მთაში არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაკს, აქ არს ეკლესია გუმბათიანი, დიდი, შვენიერად ნაგები, კეთილშვენიერ ადგილს, აღაშენა მეფე ადარნასემ, და დაფლულ არიან მეფენი, იჯდა ეპისკოპოზი მწყემსი ფანასკერგისა და სრულიად გაოსი, ოლთისისა და ნარუშაკისა და აწ არს ცარიელი“ [ვახუშტი ბაგონიშვილი, 1941: 138].

XVI ს-ის დასაწყისის ისტორიულ საბუთში „კათალიკოზის ხელქვეითი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“, ბანას ეპარქიის საზღვრები ასეა განსაზღვრული: „ბანელის სამწყსო, სულ ბანი, გაოს კარი, ფანასკერგი, ჰარიხის ხეობა, სრულიად ოლთისი, ნამურაკანი“ [დოლიძე, (ა) 1965: 49].

მგრის ხშირი თავდასხმების გამო მეტად მწირი ცნობები შემოგვრჩა ბანას ეპარქიასა და ბანის ეპისკოპოსებზე. მაგ., XIII

ს–ში „განგება დარბაზობისას” მიხედვით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ სამეფო დარბაზობის დროს ბანელი ეპისკოპოზი 32-ე ადგილზე იჯდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს 37 იერარქს შორის წალკელის შემდეგ და ჭერემ ქალაქელის წინ, ასევე სულ რამდენიმე ბანელი ეპისკოპოზია ცნობილი საისტორიო წყაროებში [დოლიძე, (ბ) 1965: 245].

XI ს–ში ცნობილია ორი ბანელი ეპისკოპოზი – მაქარია და იოანე, ორივე ამ საუკუნის მეგად ბობოქარი პოლიტიკური მოვლენების მონაწილე იყო, – განსაკუთრებით მაქარია ბანელი, რომელიც ბანის მეზობელი ასევე მართლმადიდებლური ეკლესიის – ვალაშკერგის მეთაურიც გახდა და ხშირად წყაროებში მაქარია ვალაშკერგელის ან მაქარია ბანელ–ვალაშკერგელის სახელითაა ცნობილი. მასვე მინიჭებული ჰქონია უმაღლესი ბიზანტიური საეკლესიო ტიტული სვინგელოზისა.

სად და როდის შეუღლა მაქარია ბანელი სასულიერო მოღვაწეობას – არ ჩანს, მაგრამ უკვე 1022 წელს იგი გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ წელს ბასიანში ლაშქრით მოვიდა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II და საქართველოს მეფის გიორგი პირველისაგან მოითხოვა დაებრუნებინა დავით კურაპალაგისაგან ანდერძით გადაცემული მიწები, რომელიც გიორგი I–ს ჰქონდა დაკავებული [ლორთქიფანიძე, 2008: 358]. მოლაპარაკებაში ბიზანტიის მხრიდან მონაწილეობდა იმპერატორის ნდობით აღჭურვილი პირი მაქარია ბანელი, რომელსაც იმ დროისათვის მიღებული ჰქონდა ვალაშკერგელის წოდება და სვინგელოსის ტიტული.

როგორც ჩანს, მაქარია ბანელი ქართული მხარის სასარგებლოდ შეთანხმებას ხელოვნურად აჭიანურებდა, რაც იმპერატორს და მის გარემოცვას შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და მაქარიაც იმპერატორმა შერისხა. იგი მოლაპარაკებას ჩამოაშორეს, კონსტანტინეპოლში გადაასახლეს და გამყოლებს გზაში მისთვის ენის ამოგლეჯაც დაავალეს. ეს მოთხოვნა შესრულდა თუ არა, წყაროებიდან არ ჩანს, იგი საკუთარ პაგარა მონასტერში დამკვიდრდა და ფართო ლიგერაგურულ–კულტურულ მოღვაწეობას შეუღლა [შენგელია, სილოგავა, 2006: 98-99]

როგორც ჩანს, საეპისკოპოსო კათედრებს ბანაში XI ს-ის შემდეგ დიღხანს აღარ უარსებია, შეიძლება იგი თურქ-სელჩუკთა შემოსევებს შეეწირა, მაგრამ სასულიერო ცენტრი იქ შემდგომშიაც დიღხანს იყო – აქ მონასტერი არსებობდა, როგორც XVI ს-ში გადაწერილი ხელნაწერებიდან ჩანს.

გარდა იმისა, რომ ბანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო კათედრა იყო, ის ქართველ მეფეთა საკუთრება და რეზიდენცია–სამყოფელიც ყოფილა. სუმბაგ დავითის-ძის თხზულებაში ბაგრატ IV-ის (1027-1072) შესახებ ერთგან აღნიშნულია, „მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თვისსა მამულსა ბანას“ [ქართლის ცხოვრება, 1955: 318]. სავარაუდოდ, ეს ის პერიოდია, როდესაც ბაგრატი ბიზანციაში იმყოფებოდა და უკან დააბრუნეს, ბაგრატს ბიზანციის იმპერატორის მღევრები დაადენეს გიორგი I-ის ურჩობის გამო, მაგრამ ბაგრატმა საქართველოს სამღვრებში შემოსვლა მოასწრო, როგორც ჩანს, ბანა იმ დროისათვის გიორგი I-ის გამგებლობაში შედიოდა.

„მაგიანე ქართლისას“ მიხედვით, ბანაში დაიწერეს ჯვარი 1030 წლის ახლო ხანებში ბაგრატ IV-მ და ბიზანციის იმპერატორის ძმის, რომან არგონის ასულმა ელენემ, ეს ჯვრისწერა ახალი ურთიერთობის დასაწყისი უნდა ყოფილიყო ბიზანციასა და საქართველოს შორის, მაგრამ დედოფლის გარდაცვალების გამო ვითარება შეიცვალა. ბანას ეკლესიაში იმარხებოდნენ ერთ დროს ბაგრატიონები, უკანასკნელად აქ დაასვენეს ვახტანგ IV (1442-1445) და მისი მეუღლე სითი ხათუნი [გვიგაშვილი, კოპლაგაძე, 2004: 123].

ოსმალეთის იმპერიის დროს ბანას გაძარი ციხე-სიმაგრედ გადაუქცევიათ და 1877–1878 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ეკლესიის გარშემო რუსთა ჯარი იღვა. ასევე თავისი ბანაკი ჰქონიათ იქ ოსმალებსაც, ამ ომების პერიოდში ბანა ძლიერ დაზიანდა.

ყველა, ვინც ბანას გაძარი მოინახულა ან შეისწავლა, აღფრთოვანებულია მისი ორნამენტებით, სილამაზით და მშვენიერებით. „გარდა იშხანისა, მრგვალი ნაგებობა ჩვენ გვაქვს აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლ ბანაში, იმ განსხვავებით

მხოლოდ, რომ გენიოს ხუროთმოძღვარს თავიდან აუცილებია ის კონსტრუქციული დეფექტები, რომელიც ძველ იშხანს ჰქონდა, ბანის ხუროთმოძღვარმა შექმნა მხაგვრულად კიდევე უფრო სრულყოფილი, ხოლო კონსტრუქციულად ბევრად უფრო მკვიდრი ნაგებობა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო” – აღნიშნავს პავლე ინგოროყვა [ინგოროყვა, 1955: 365].

პირველი ცნობები ბანას გაძრის საკუთრივ არქიტექტურული სახის შესახებ დაგვიტოვა გერმანელმა მოგზაურმა და ბოტანიკოსმა კარლ კოხმა, მან იგი 1843 წელს დაათვალიერა, როდესაც ძველი ჯერ კიდევ მთლიანად იყო შემონახული [მეფისაშვილი, თუმანიშვილი, 1989: 6]. “ბანასნაირი გაძარი მთელს აღმოსავლეთში არ ნახავს, აია-სოფის შემდეგ აზიაში მსგავსი არაფერი შემხვედრიაო“, - უთქვამს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გერმანელ ბოტანიკოსს კარლ კოხს.

ბანას ხუროთმოძღვრების კვლევა რეალურად ექ. თაყაიშვილმა დაიწყო. 1902 წელს, როცა მან ბანა პირველად ინახულა არქიტექტორ ს. კლდიაშვილთან ერთად, გაძარი უკვე ძალზედ დანგრეული იყო; 1907 წელს ექ. თაყაიშვილმა კვლევა განაგრძო: „1907 წელს, როდესაც მეორედ ვინახულე ბანა, სურათი კიდევე უფრო სამწუხარო იყო“, – წერს ექ. თაყაიშვილი [თაყაიშვილი, 1991: 222-223].

ექ. თაყაიშვილმა სიძველეთა შესწავლის მიზნით სამხრეთ-საქართველოში სამი ექსპედიცია მოაწყო, ბანას გრანდიოზული კათედრალური გაძრიდან მას მოჰყავს სამი წარწერა, ერთი მათგანი შესრულებულია დიდი ზომის ასოებით, გაძრის საკურთხეველში. ექ. თაყაიშვილი თვლიდა, რომ წარწერა ძალზედ ძველია და შეიძლება გაძრის აგების დროინდელი იყოს.

ბანას გაძარი აშენებულია განგებ ზემოთ დავაკებულ მრგვალ ბორცვებზე და ძველად შემოზღუდული იყო ქვითკირის გალავნით. გევით გეგრაკონქის თემის თავისებური ვარიანტია – გეგრაკონქი მრგვალი შემოსასვლელით. კონსტრუქციული თვალსაზრისით, ეს ფრიად ორიგინალური და რთული შენობაა [ბერიძე, 1974: 32-33].

ბანას კათედრალი წარმოადგენს გუმბათიან როგონდას მასში ჩაწერილი ტეგრაკონქით, რომელიც უწყვეტი გარშემოსავლელითაა გარსშემორტყმული. მისი ცენტრალური ნაწილი გეგმაში ჯერის ფორმისაა, თანაგოლი მკლავები დაბოლოებულია სვეტებზე გადაყვანილი თალებით, რომლებიც აფსიდების კედლებს იკავებენ.

ბანას მსგავსი ძეგლები საქართველოს გარდა ცნობილია მხოლოდ სომხეთში (მვართნოცისა და ვაგიკ მეფის ტაძრები).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVIII ს-ის შუა ხანებში ბანას ეპარქია დაცლილი ყოფილა, ამის შემდეგ იგი არასოდეს განახლებულა, მისი გრანდიოზული ტაძარიც (ფუძის დიამეტრი 38 მ, შიდა სივრცის სიმაღლე 32 მ) დღეს ნანგრევების სახით დგას, თუმცა XIX ს-ის შუა ხანებამდე შედარებით კარგად იყო შემონახული და მხოლოდ ამ დროიდან დაზიანდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაგონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941
2. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974
3. ბერიძე ვ., ადრეფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973
4. გივიაშვილი ი., კოპლაგაძე ი., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004
5. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და სოფ. ჩანგლში, დაბრუნება, I, თბ., 1991
6. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1955
7. მეფისაშვილი რ., თუმანიშვილი დ., ბანას ტაძარი, თბ., 1989
8. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბ., 1977
10. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო საკანონმდებლო ძეგლები, თბ., 1965
11. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, III, საერო საკანონმდებლო ძეგლები, თბ., 1965

ჯახა ქამადაძე

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის I კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ბიჭიკო დიასამიძე*

ბბეთის საეპისკოპოსო

საქართველოს მიწა-წყალზე არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, რომ წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი. გამონაკლისი არც ცაო-კლარჯეთის მხარეა. ამ სახელწოდებით აღინიშნება ის ძველი ქართული რეგიონები, რომლებიც ამჟამად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული და შეადგენენ ართვინის, არგაანის, ყარსისა და ერზრუმის ვილაიეთებს (შენგელია, 2008: 5).

მიუხედავად იმისა, რომ მთელს ამ მხარეს დღეს ერთიანი სახელწოდებით ცაო-კლარჯეთად მოვიხსენიებთ, მისი ორი რეგიონი – საკუთრივ ცაო და კლარჯეთი მართლაც გამორჩეულია როგორც წარსული პოლიტიკური ისტორიით, ისე ადგილით საქართველოს ეკლესიაში. თითოეული მათგანის გერიტორიაზე არსებობდა ორ-ორი საეპისკოპოსო კათედრა: კლარჯეთში – ანჩი და ტბეთი, ხოლო ცაოში, იშხანი და ბანა. ისინი ისევე, როგორც სამცხე-საათაბაგოს სხვა საეპისკოპოსოები, გაუქმდა XVIII საუკუნეში, იქ ოსმალთა გაბატონების გამო (შენგელია, სილოგავა, 2006: 6).

ცაო-კლარჯეთის არქიტიკურის ერთ-ერთი მშვენიერება ტბეთის კათედრალია. იგი მდებარეობს ისტორიულ შავშეთში, ქ. შავშეთიდან დაახლოებით 15 კმ-ზე. გაძარი აგებულია IX ს ბოლოს ან X ს

დასაწყისში ერისთავთ-ერისთავის – აშოგ კუხის მიერ (918), რომელიც ამ მხარეს განაგებდა მამამისის გურგენ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (გივიაშვილი, კოპკალაძე, 2004: 117). შავშეთის გარდა, აშოგ კუხის სამფლობელოში შედიოდა არგაანი, სამცხე და აჭარა, რეზიდენცია კი იყო სოფ. ტბეთში (ინგოროყვა, 1954: 99).

XI ს ქართველი ისტორიკოსის – სუმბატ დავითის-ძის გადმოცემით: „აშოგ ერისთავთ-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, ალაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოველთა განგებითა და დასუა პირველად ეპიკოპოსად სანაგრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა” (სუმბატ დავითის-ძე, 1955 : 380). ტბეთი აშოგ კუხის დროს გადაიქცა ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრად. აქ შეიქმნა სტეფანე მტბევეარის ჰიმნოგრაფიული თხზულება „წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი” (914-918), რომელიც აშოგ კუხის პირადი ინიციატივით ყოფილა დაწერილი. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები დავით ტბელი, აკვილა მტბევეარი და სხვები. ტბეთის ხელნაწერებიდან უმნიშვნელოვანესია ტბეთის სახარება (995), რომელიც ამჟამად სანტკა-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება. შემორჩენილია „ტბეთის სულთა მაგიანე“ (XII-XVII სს), რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს შავშეთისა და აჭარის ისტორიული გეოგრაფიისა და საგვარეულოთა შესახებ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1985: 680).

ადგილის სახელწოდება ტბეთი, რომელიც ეპარქიაზეცაა გადასული, გბას უკავშირდება და ტბიან თუ ტბებთან ადგილს ნიშნავს. ვახუშტი ბატონიშვილი ტბეთის აღწერისას აღნიშნავს, რომ: „მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან” (ბატონიშვილი, 1973: 679)

ტბეთის გაძარი თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით, მართულობით, ორნამენტული დეკორით და მაღალმხატვრული ფრესკული მხატვრობით დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა (სურ. 1). თავდაპირველი ეკლესიის არქიტექტურის შესახებ მეტად მწიერი ცნობები მოგვეპოვება. ის მალევე დანგრეულა, 960-970 წწ-ში

აშენდა მეორე ტაძარი, რომელიც, როგორც ჩანს, იყო გუმბათიანი რვაშტაკოვანი ეკლესია. იგი მალე შეცვალა ახალმა ჯვარგუმბათოვანმა ნაგებობამ, რომელიც X-XI სს მიჯნაზე აუგიათ. ტბეთის მესამე ტაძარი კიდევ მრავალჯერ გადაკეთდა, თუმცა, ჯვარგუმბათოვანი კომპოზიცია შეინარჩუნა. XI ს დასაწყისში ნაწილობრივ აღადგინეს ტაძრის აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები, XII ს II ნახევარში აღადგინეს სამხრეთი მკლავი, XIV ს კი – გუმბათი (გივიაშვილი, კოპტალაძე, 2004 : 117-119). ასე იღვა ტაძარი XX ს II ნახევარამდე. 1961 წელს მთლიანად ჩაიქცა გუმბათი, დაინგრა ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ მკლავი და თალი (ტაბ. I; სურ 1, 2, 3, 4). ნგრევა გამოუწვევია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტაძრის ქვების სამშენებლო მიზნებით გადაზიდვას, ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ფრანგი ხელოვნებათმცოდნეები ნ. და მ. გიერები, რომლებმაც ტბეთის ტაძარი 1967 წელს მოინახულეს და შეისწავლეს. (სილოგავა, შენგელია, 2006: 68).

ყველა, ვინც მოასწრო ტბეთის პირვანდელი სახით ნახვა, აღნიშნავს მის დიდებულებას, დეკორატიული სამკაულის მრავალფეროვნებასა და გარემომცველი ბუნების მშვენიერებას. ვახუშტი ბაგონიშვილი აღნიშნავს რომ: „ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდ-მშვენიერი” (ბაგონიშვილი, 1973: 679) (სურ. 6)

გ. ყაზბეგი, რომელმაც ტბეთის ეკლესია XIX ს ინახულა და დაწვრილებით აღწერა მისი იმეამინდელი მდგომარეობა, აღგაცებით წერს, რომ: „ტბეთის მონასტერს შეუძლია რომიც კი დაამშვენოს - ისე კარგია მისი საერთო ხედი და საუცხოოა მისი დეგალები. ტაძარს გრანდიოზული შესახედაობა აქვს და უფრო დიდ შთაბეჭდილებას გოვებს, ვიდრე მცხეთის, გარგამისა და საფარას ტაძრები” (ყაზბეგი, 1995: 79-80). ხოლო ცნობილი თურქი მწერალი ფაქირ ბაიყურთი 1974 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში – „ჯევიზლის ეკლესია” წერს: „არავინ იცის, თუ რამდენი წლისაა ეს უმარამაზარი ნაგებობა, იქნებ ათასის, ან იქნებ მეტის. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას... მის სიდიადეს მხოლოდ მაშინ

ადიქვამ, როდესაც მიუახლოვდები, შიგნით შეხვალ და მაღლა აიხედავ. ძველი ეპოქის, აქ მცხოვრები ხალხის დაკარგული სარწმუნოების, მათი ცივილიზაციის ნაშთია იგი” (გივიაშვილი, კოპტალაძე, 2004: 121).

ტბეთის ეპარქიის ისტორიული ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავშეთ-კლარჯეთის და აჭარის ისტორიასთან. ტბეთის სამწყსოში მისი წარმოქმნიდან XIIIს-მდე, როგორც ჩანს, შედიოდა მთელი შავშეთი და აჭარა. ერთ-ერთი ისტორიული საბუთი „განგება დარბაზობისა” გვაწვდის ეპიკოპოსთა სიას. მასში ისტორიულ გემო ქართლში დასახელებულია შემდეგი ეპარქიები: აწყურის (სამცხე), კუმულოს (ჯავახეთი), იშხნის (გაო), ანჩის (კლარჯეთი), ტბეთის (შავშეთი), წურწყაბის, წყაროსთავის, ერუშეთის, ბანის (გაო). შავშეთსა და აჭარის მხარეში ჩანს მხოლოდ ერთი ეპარქია – ტბეთისა. შემდეგში, როგორც ჩანს, მხოლოდ ტბეთის ეპარქიის გერიტორიული ფარგლები რამდენადმე შეიკვეცა. XVI ს შედგენილი ერთ-ერთი ისტორიული საბუთის მიხედვით, სადაც სამცხე საათაბაგოს ეპარქიებია ჩამოთვლილი, მგბე-ვარის სამწყსოში შედიოდა მთელი შავშეთი მიჭიხანით და აჭარის ერთი ნაწილი, ხოლო აჭარის მეორე ნაწილი კი ამ პერიოდში შედიოდა ქუთათელის სამწყსოში.

ამრიგად, XVI ს ტბეთის ეპარქიაში აღარ ჩანს აჭარის ნაწილი – დანდალოს ქვემოთი, როგორც ჩანს, ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ აჭარის ეს ნაწილი აღარ იყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად დაკავშირებული შავშეთთან და აღარ შედიოდა სამცხე-საათაბაგოში (ენუქიძე 1977: 30). ხსენებული ძეგლი ასე განსაზღვრავს მგბე-ვარის სამწყსოს გერიტორიულ ფარგლებს: „დახაგულას გელათი, ანაკერგს აქეთი სულა შავშეთი მიჭიხანთ ბაგონის კათალიკოსის, იმ ქვეყნის ეპისკოპოსიც, იასაულიც ის ყოფილა, აჭარა დანდალოს გეითი მას ქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა” (ბაქრაძე, 1987: 77).

ტბეთის ეპარქიაში მდებარეობდა წმ. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული მონასტრებიდან ორი – ხანძთა, მამათა მონასტერი და გენათლე, დელათა მონასტერი.

თითოეულმა მათგანმა, განსაკუთრებით ხანძთამ, დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში.

გბეთის ეპისკოპოსის პაგივი მალალი იყო სხვა მღვდელმთავერებში – იგი მე-12 ადგილზეა დასახელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს 36 მღვდელმთავარს შორის. „განგება დარბაზობისას“ (XVIII ს) მიხედვით, მეფის კურთხევის დროს, მას უჭირავს ადგილი ანჩელსა და წურწყაბელს შორის. ასევე მალალია მისი პაგივი საკუთრივ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავერებში, აქ მას მე-5 ადგილი უჭირავს ამ მხარის 13 მღვდელმთავარს შორის (დოლიძე, 1965: 48).

საისტორიო წყაროებში სულ 14 მგბევეარი ეპისკოპოსია ცნობილი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო საბა მგბევეარი. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა 1028 წლის ახლო ხანებში იმ დროის ერთობ დაძაბულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„მაგიანე ქართლისაის“ და სუმბაგ დავითის-ძის ცნობით, ორი წლის გამეფებულ 11 წლის ბაგრატ IV მამამისის გიორგი I გარდაცვალების შემდეგ განუდგნენ გაოელი აზნაურები ვაჩე კარიჭის-ძე, ჩანჩახი ფალელი და არჯევან ჰოლოლას ძე, ამ ორმა ბიზანტიას გადასცა პირველმა ციხე გარყლობისა, ხოლო მეორემ წერეთისა და წეფთისა. განდგომილ გაოელ აზნაურებს შეუერთდა ბანელი ეპისკოპოსი იოანეც. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე VIII (1025-1028) ჯარი გამოგზავნა ქვეყნის დასაპყრობად (სილოგავა, შენგელია, 2004: 76-84). ასეთ დროს „რა ეამს იხილა საბა მგბევეარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა გბეთისასა, დაიჭირა ქვეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულება ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის“ (მაგიანე ქართლისაი, 1955: 292). სუმბაგ დავითის-ძის ცნობით: „საბა მგბევეარმან სიმავრე ააგო მახლობლად გბეთის ეკლესიასა და სახელი სდუა მას სუეგი“ (სუმბაგ დავითის-ძე, 1955: 386). საბა მგბევეარს მხარში ამოუდგა ემრა ანჩელი, ამასობაში კონსტანტინე კეისარმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო და ჯარი უკან გამოიწვია. იგი გარდაიცვალა

კიდევ 1028 წელს. ბიზანტიას საქართველოსათვის აღარ ეცალა, სასახლის კარზე გადატრიალებები დაიწყო და ქვეყანას განსაცდელმა გადაუარა. ამიერიდან სამეფო ხელისუფლებამ მტბევარ-ეპისკოპოსს საერო ხელისუფლებაც – შავშეთის ერისთავობაც უბოძა. მტბევარებს ეს თანამდებობა გაჰყვა ეპარქიის არსებობის ბოლომდე.

უკანასკნელი მტბევარი ეპისკოპოსი, რომელიც საისტორიო წყაროებში იხსენიება, არის გედეონ საფარის-ძე (XVII ს 30-იანი წლები). 1650 წელს ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ IV (1648-1687) გედეონ საფარის ძეს იშხნელობა და მაწყვერლობა უბოძა. ამის შემდეგ საისტორიო წყაროებში წყდება ცნობები მტბევარ მღვდელმთავრებზე. როგორც ჩანს, მას დიდხანს აღარ უარსებია და გაუქმებით, ისევე როგორც სამცხე-საათაბაგოს სხვა საეპისკოპოსოები.

ამრიგად, ტბეთის ეკლესია, რომელიც IX ს ბოლოსა და X ს დასაწყისში ერისთავთ-ერისთავმა აშოგ კუხმა ააგო, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მშენებაა.

ტბეთის ეპარქიის ისტორიული ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავშეთ-კლარჯეთის და აჭარის ისტორიასთან. ტბეთის სამწყსოში მისი წარმოქმნიდან XIII ს მანძილზე შედიოდა მთელი შავშეთი და აჭარა. შემდეგში ტბეთის ეპარქიის ტერიტორიული ფარგლები რამდენადმე შეიკვეცა და XIII ს მის შემადგენლობაში შედიოდა შავშეთი და აჭარის ერთი ნაწილი – ზემო აჭარა.

ტბეთის საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა XVIII საუკუნეში ამ მხარეში ოსმალეთის გაბატონების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიისა და აჭარაში, საბჭოთა აჭარა, 1987
2. ბაგონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973
3. გივიაშვილი ი., კოპკალაძე ი., გაო-კლარჯეთი, თბ., 2004
4. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965
5. ენუქიძე თ., გბეთის სულთა მაგიანე, თბ., 1977
6. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954
7. „მაგიანე ქართლისაი“, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955
8. სუმბაგ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955
9. შენგელია კ., გაო-კლარჯეთის ძეგლები, თბ., 2008
10. შენგელია კ., სილოგავა ვ., გაო-კლარჯეთი, თბ., 2006
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IX, თბ., 1985
12. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995

ილუსტრაციები:



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

ლამარა ბურკაძე

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
ისტორიის სპეციალობის II კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: თამაზ ფუტკარაძე*

მოგზაურობა ისტორიულ ბაო-კლარჯეთში

2009 წლის 5-10 ივნისს, პროფ. თ. ფუტკარაძესა და ჩემს თანაკურსელებთან ერთად ვიმყოფებოდი სამეცნიერო ექსპედიციაში, ისტორიულ ბაო-კლარჯეთში.

ბაო-კლარჯეთის შესახებ მრავალი ისტორიული ნაშრომი დაიწერა, ამიტომაც თავს შევიკავებ ვრცლად საქართველოს ამ კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობისაგან და მოგიტხრობთ ამ მოგზაურობის შედეგად დანახულ და ემოციურად განცდილი დღეების შესახებ.

ჩვენ ძირითადად მოვინახულეთ შემდეგი ძეგლები: დოლისყანა, სახული, პარხალი, ოშკი, ხანძთა, გბეთი, არგანუჯი და ბოლოს გავეცანით ბაზგირეთის ყოფით კულტურას.

ჩვენი დიდი აღფრთოვანება გამოიწვია იმ გეოგრაფიულმა გარემომ, რაც იქ დაგვხვდა. ეს გერიტორია მთლიანად კლდოვან მთათა სისტემას წარმოადგენს. მცენარეთა საფარი მხოლოდ მდინარის პირასაა, ხოლო წყლიდან გაშორებული ტერიტორიები უდაბნოს სახეს ქმნის.

პირველი ძეგლი, რომელიც მოვინახულეთ, ეს იყო დოლისყანა. სამწუხაროდ, გაძარი ყველასაგან და ყველაფრისაგან მიტოვებულია, იქ მცხოვრებთ ის შემოსავლის წყაროდაც კი გადაუქცევიათ. დღეს ეს ძეგლი ძალზედ სავაგალო მდგომარეო-

ბაშია, იმ კელებს, რომლებიც შემორჩენილია, ჩამონგრევის საფრთხე ემუქრებათ. ეს საშიშროება თითქმის ყველა იმ გაძარს ელის, რომლებიც ამ გერიგორიაზეა განლაგებული. შედარებით კარგ მდგომარეობაშია ის გაძრები, რომლებიც მეჩეთად გადაკეთდა და რომელშიც ახლაც მიმდინარეობს ისლამის სწავლება, ამაზე მიუთითებს იქვე არსებული სასწავლო მერხები. ასეთია პარხალისა და ხახულის გაძრები, ამ გაძრებიდან ჩვენ მხოლოდ ხახულის გაძარში მოვახერხეთ შესვლა.

ხახული მდებარეობს თორთუმის წყლის მარჯვენა მენაკადის, ხახულის წყლის ნაპირას. თავდაპირველად ამ გერიგორიაზე მცირე ეკლესია დავით I აუგია, ხოლო შემდგომ დავით კურაპალატს დიდ გაძრად და სამონასტრო ცენტრად უქცევია. ის წარმოადგენდა ცენტრალურ-გუმბათოვან და სამნავიანი ბაზილიკის სინთეზს. შემდეგ კი ეს გაძარი გადაკეთდა მეჩეთად (თაყაიშვილი, 1960: 59, 60). ხახულის ლიგერატურული კერის თვალსაჩინო წარმომადგენლები: იოვანე ხახულელი, ვასილ ბაგრატიძე. ამ კულტურულ ბაზაზე აღიზარდა გიორგი მთაწმინდელიც (მენაბდე, 1992: 74) გაძარში საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი ფრესკები, რესტავრაციის შემთხვევაში შესაძლებელია მათი სრული აღდგენა. წმ. ნიკოლოზისა და სხვა მოწამეთა გამოსახულებები ქართველებისაგან შველას ითხოვენ.

რაც შეეხება პარხალს, სამწუხაროდ, ჩვენ მისი შიგა სივრცის დათვალიერება ვერ შევძელით, რადგან იქ ახლა მუსლიმანური სალოცავია და არ მოგვცეს უფლება მისი დათვალიერებისა. თავდაპირველად გარკვეული თანხა მოგვითხოვეს, ხოლო შემდეგ გასაღების უქონლობა მოიმიზეზეს.

პარხალი მდებარეობს მდინარე პარხალის წყლის ხეობაში, ლამისგანის ანუ პონგოს მთაგრეხილის აღმოსავლეთ კალთაზე. პარხალის აგების დროის მუსტი თარიღი არ არის დადგენილი. პირდაპირ დროს არც გაძარი გვაძლევს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პარხალის „ოთხთავს“, რომელიც პარხალისათვის არის გადაწერილი იოვანე ბერაიას მიერ, 973 წელს, ეს კი იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის პარხალის გაძარი არსებობდა.

აღნიშნული ხელნაწერის უკანასკნელ ფურცელზე იკითხება: „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაედგას“. როგორც ჩანს პარხალის გაძარი ამ დროს ახალი აგებული ყოფილა. მის აგებას დავით კურაპალაგს მიაწერენ, სამწუხაროდ მაჰმადიანების მომძლავრების შედეგად მონასტერი დაეცა და მისი ბაზილიკური შენობა მეჩეთად გადაკეთდა, რამაც ნაგებობა იხსნა დანგრევისაგან (მენაბდე, 1992: 75).

ოპიზაში მხოლოდ გაძრის ნანგრევებიღაა შემორჩენილი, ეზოში კი მეჩეთია აშენებული. ოპიზის მდებარეობის შესახებ ასეთ ცნობას ვვაწვდიან: „შავეშეთის წყლისა და ანაკერგს შორის, ჭოროხის აღმოსავლეთით, აჭარის მთის კალთაზე არის მონასტერი ნათლიმცემლისა, ამას უწოდებენ ოპიზის მონასტერს“. ამ მონაცემზე დაყრდნობით თავდაპირველად გაძნელდა ოპიზის ადგილსამყოფლის დადგენა. მიიჩნიეს, რომ ის აჭარაში მდებარეობდა, ხოლო შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ოპიზა იმერხევეში – კლარჯეთში მდებარეობს, მაღალ მთაზე (მენაბდე, 1962: 458).

მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობია ოპიზის აშენების თარიღი, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო V ს მურვანის შემოსევის დროს მონასტერი განადგურდა და მხოლოდ VIII ს. 50-იან წლებში, სამოელ ოპიზელის მეშვეობით მშენებლობა აშოგს უნდა ჩაეგარებინა. არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს გაძარი არა VIII ს. არამედ IX ს. უნდა აღდგენილიყო (მენაბდე, 1962: 383, 387).

ხანძთა თავისი ადგილმდებარეობით დიდად განსხვავდება სხვა გაძრებისაგან. ის უდაბნოში გაშენებულ ოპიზის წააგავს, ირგვლივ სულ სიმწვანეა და ამ სიმწვანეში დიდი მონასტრის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ამ ნანგრევებს შორის სამრეკლო საკმაოდ კარგადაა შემონახული.

ხანძთა კლარჯეთის კულტურულ-ლიტერატურულ კერებს შორის ქრონოლოგიურად ოპიზის საგანის მომდევნო და მთელი მხარის სამონასტრო კოლონიზაციის საყრდენი ბაზა იყო. აქაურ მოღვაწეთა დახასიათებით, ის ამქვეყნიური ცხოვრებისაგან გამდგარ პირთა საუკეთესო სამყოფს წარმოადგენდა. ხანძთის მონასტრის დამაარსებელი, ცაო-კლარჯეთის სამონასტრო კო-

ლონიზაციის ინიციატორი და სულის ჩამდგმელია გრიგოლ ხანძთელი. მან ჩაუყარა საფუძველი გაო-კლარჯეთის ქართულ ბერ-მონაზვნობასა და სამონასტრო ცხოვრებას. ხანძთაში თავდაპირველად აღაშენა გრიგოლმა ძელის ეკლესია, ხოლო შემდეგ, ქვის. ხანძთის ეკლესია უნდა აშენებულიყო VIII ს. უკანასკნელ მეოთხედში (მენაბდე, 1992: 64).

XI ს. ხანძთელ მოღვაწეთაგან ჩვენთვის ცნობილია მოსე ხანძთელი, რომელსაც 1085 წელს გადაუწერია „საწელიწადო საწინასწარმეცხველო“ (მენაბდე, 1992: 66).

იშხანში ფრესკები საკმაოდ კარგადაა შენარჩუნებული, გუმბათი მთლიანად მოხატულია და მისი დანახვა საკმაოდ კარგადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია ის, რომ ამ გაძრის ყოველი სვეტი განსხვავებული ორნამენტებითაა შემკული.

იშხანი მდებარეობს ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე მაღალ გაფობზე. ვახუშტი წერს: „ართვისს ზეით მიერთვის ჭოროხს დასავლეთიდან ხევი, რომელიც გამოსდის თორთომისპირის მთასა, მოდის აღმოსავლეთით, ამ ხევზედ არის იშხნის ციხე, ფრიად მაგარი, დიდშენი და გუმბათიანი, დიდმშენიერად ნაგები“. (თაყაიშვილი, 1960: 7)

საეპისკოპოსო კათედრალი იშხანში აუგია იშხნელ სომეხ ნერსე კათალიკოსს VII ს. აგებული გაძარი IX ს. მეორედ აღაშენა საბა იშხნელმა. XI ს. ძირეულად გადააკეთეს ანტონ იშხნელის ხელმძღვანელობით (მენაბდე, 1962: 442).

იშხანი წარმოადგენდა ერთნაეიანი ბაზილიკისა და ცენტრალურ გუმბათოვანი გაძრის სინთემს. როგორც ჩანს, იშხანს XV ს. ჩათვლით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ საქართველოს დაშლის შემდეგ იშხანმა დაკარგა სიძლიერე. უკვე XVI ს. შეინიშნება იშხნის გამოცოცხლება და ლიგერაგურული გრადიციების გაგრძელება (მენაბდე, 1962: 442).

ოშკის გაძარი მდებარეობს თორთუმის გბაში ჩამდინარე თორთუმის წყლის შესართავის მახლობელ მაღალ მთაზე. ოშკის მონასტრის აგება გაძრის წარწერების საფუძველზე 958-961 წლებს მიეკუთვნება და მის ამგებად მიჩნეულია აღარნასე III.

ოშკი თავის დროზე ქართული განათლებისა და მწიგნობრობის დიდი კერა იყო. მონასტრის ტერიტორიაზე ყურადღებას იპყრობს ნაგებობის ნანგრევი სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც დიდი ოთკუთხა დარბაზი ეკვრის ჩრდილოეთით. ეს სემინარული სასწავლებელი იყო. სწორედ აქ მოხდა X ს. ბიბლიის თარგმნა და იგი „ოშკურ ბიბლიად“ მოიხსენიება. აქვე დაიწერა მესტიის სახარება ილარიონ იშხნელის დაკვეთით (მენაბდე, 1962: 448).

მონახულებული გაძრებიდან, სამწუხაროდ, გბეთის გაძრის მხოლოდ კედლის წინაფასადია შემორჩენილი, გბეთი მდებარეობს მისივე სახელობის სოფელში.

გბეთის გაძარი X ს. 20-იან წლებშია აგებული აშოგ კურაპალატის მიერ, რომელიც გურგენ I კურაპალატის შვილი იყო. შემდგომ პერიოდში გბეთის კათედრალი გაძლიერდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში (მენაბდე, 1960: 468).

რთული ვითარების მიუხედავად, დღეისათვის ტაო-კლარჯეთში ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული სოფლები, სადაც ქართულად საუბრობენ და შენარჩუნებული აქვთ ძველი წესჩვეულებები. ეს გამოიხატება მათ კულტურასა და რწმენა-წარმოდგენებში.

ტაოს ქართული სოფლებია ხევეთი და ელიაწმინდა. არგანუჯში თითქმის არ არის ქართულად მოსაუბრე მოსახლეობა. ართვინში ცოტანი არიან. ართვინის ქართული სოფლებია ორჩხი და ბურღული. შავშეთის ქართული სოფლებია ბაზგირეთი, ბიოსი და სხვა. ყველაზე კარგად ქართული ენა და გრადიციები ბაზგირეთშია შემორჩენილი.

ბაზგირეთი მდებარეობს ბაზგირეთის წყლის ხეობაში. აქაური ბუნება ძალზედ წააგავს აჭარის მაღალმთიან სოფლებს. რაც შეეხება საცხოვრებელი სახლის ტიპს, მათი საცხოვრებელი ორსართულიანია, პირველი საცხოვრებელი საქონლისთვისაა განკუთვნილი, ხოლო მეორე კი მცხოვრებლებისთვის. საცხოვრებლის მოწყობის ასეთი წესი გამოიწვია დიდთოვლიანობამ და იმ

დაავადებებმა, რომლებიც საქონლისა და რძის პროდუქტების მეშვეობით ადვილად დაძლეველი და მოსაგვარებელი იყო.

კულინარიაში წამყვანია რძის პროდუქტები, კერძები თითქმის ისეთივეა, როგორც გემო აჭარაში: სინორი, ბორეგი, ყურუთი. აქაურები კარგად ფლობენ ხელსაქმეს: ქარგავენ, ქსოვენ. მათი ოთახები მორთულია მათივე ნაკეთობებით.

ბაზგირეთში შემორჩენილია ქრისტიანული დღესასწაული, რომელსაც ისინი „მარიობას“ ეძახიან. „მარიობა“ იგივეა, რაც ჩვენთან „მარიამობა“ და ამ დღეს როგორც ჩვენთან, იქაც 28 აგვისტოს აღნიშნავენ. დღესასწაული ადრე 10 დღე გრძელდებოდა, იმართებოდა ლხინი, ხდებოდა ახალგაზრდა წყვილთა დაოჯახება, მაგრამ იმის გამო, რომ დღეს სოფელი თითქმის დაცარიელდა ახალგაზრდებისაგან, დღესასწაული 3 დღე გრძელდება და ამ დღეებს ცეკვა-სიმღერაში აგარებენ. სრულდება სიმღერები ბაზგირეთზე. ბაზგირეთის ცეკვა-სიმღერის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ეთნოგრაფი თ. ფუტკარაძე. მათგან აღსანიშნავია გასაუბრება რძალსა და დედამთილს შორის, რწმენა-წარმოდგენები კარგ და შედარებით ანჩხლ სიდედრზე.

ლექსთა ფორმები და სიმღერები მეტ-ნაკლებად შერეული ხასიათისაა, მაგრამ ძირითადად მაინც ჩვენთვის გასაგებ ქართულ ენაზე სრულდება.

ამრიგად, გემოთ მოგანილი საექსპედიციო მასალა ნათლად წარმოადგენს ჩვენებურების ყოფისა და კულტურის ზოგადქართულ ხასიათს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მენაბდე ლ., ქართული კულტურის კერები, თბ., 1922
2. მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1963
3. თაყაიშვილი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960

სოფიკო ქანთელაძე

*შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
ისტორიის სპეციალობის II კურსი.
მეცნიერ-ხელმძღვანელი: მერაბ მეგრელიშვილი*

ქართული რენესანსის ქრისტიანული მსოფლმხედველობა

დღევანდელ დღეს საქართველოში კვლავ აქტუალურია რენესანსის თემა. ჩემი დაინტერესება კი გამოიწვია იმ ცვლილებებმა, რომელიც მოახდინა რენესანსმა ქართული ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

რენესანსმა მეგად რთული და საინტერესო გზა განვლო კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანთა ცხოვრებაში მოახდინა გარდაცემა და დაამკვიდრა მრავალი სიახლე. რენესანსი სულიერ ფასეულობათა მიღებ-ათვისების ეპოქაა. მისი ნიშნებია: დიდი ჰუმანიზმი, ადამიანისა და სამყაროს აღმოჩენა, ანტიკურობის აღორძინება. მაგრამ ამ ეპოქის სრულად გამოხატვა ვერ მოხერხდა, ბევრი რამ დარჩა მისი ხასიათის მიღმა ამოუწურავი (სირაძე, 2002: 280).

რენესანსმა დიდი გარდაცემა მოახდინა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე. მსოფლმხედველობა ხომ შეხედულებათა და ღირებულებათა სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, ის არის ცხოვრების მასწავლებელი, გზის ორიენტირი. იგი ადამიანს აძლევს ღირებულებით ორიენტირებას – რა აკეთოს და რისთვის იბრძოდოს.

აღამიანი დედამიწაზე ბუნების ევოლუციის შედეგად გაჩნდა, იგი ყოველთვის შეგნებულად თუ შეუგნებლად არჩევანის წინაშე დგას, რათა შეინარჩუნოს სიცოცხლე და დამკვიდრდეს სამყაროში. დაამარცხოს უნდა ის საშიშროება, რომელიც ყოველ წუთს ემუქრება. მსოფლმხედველობამ აღამიანს შეუქმნა წარმოდგენა სამყაროზე, როგორც მთელზე, მისცა ცოდნა თავის თავზე და სამყაროზე. ამის შემდგომ აღამიანს ჩამოუყალიბდა იდეალები და აღგენს ცხოვრების მიზანს, რას უნდა ემსახუროს და რისი განხორციელებისთვის უნდა იბრძოდეს. ამის მისაღწევად საჭიროა მსოფლშეგრძნება, რომელიც რენესანსმა ჩამოუყალიბა აღამიანს. ის ემყარება აღამიანის წარმოდგენებსა და პირად განცდებს, ემოციებსა და ლგოლებს, - ეს კი რელიგიაა, რომლის საფუძველია რწმენა ყოვლისშემძლე ღმერთისა. რადგან იგი გონიერებისთვის, ცოდნისთვის საიდუმლო და მიუწვდომელია. აღამიანს მიეცა საშუალება დაეძლია გაორება მსოფლმხედველობრივ ღონეზე მსოფლმხედველობრივ მოცივებში.

აღსანიშნავია შოთა რუსთაველის „ფეხისცაოსანი“, რომელიც იმ დროის მსოფლგაგებისა და სულისკვეთების ფარგლებს გაცდა. ამ დროს აღამიანები თავისუფალი აზროვნებისა არიან, აღამიანის აზროვნებაში მიწიერი და სულიერი ერთ მთლიანობაში აისახა. ყველამ შეიგრძნო ახალი დრო და ძალა მისი დასაწყისისა. მიზმიდველობა მომავლისა, სილაბაზე ჯერ კიდევ ბურუსიანი განთიადისა (სირაძე, 2002: 282). აღამიანები ივსებიან თავიანთი თავის რწმენით. რწმენა ცოდნა გახდა, ხოლო ცოდნა რწმენისა. მოყვასისა და სამყაროს სიყვარულით, აღამიანმა თავი სამყაროს ცენტრად წარმოიდგინა. აღამიანური სიკეთე სამყაროში უძლიერეს ძალად ჩაითვალა. მოხდა მშვენიერების იღის შერწყმა ამაღლებულთან. შემდეგ გაჩნდა შიში ღმერთის დაკარგვისა. ვეღარ ხედავდნენ მფარველს. თეატრალური წარმოდგენები შეიცვალა საყოველთაო ქრისტიანული რიგუალებით, რომელიც გაძარში სრულდებოდა. ახალმა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ გააერთიანა აღამიანები, რომლებიც ცალ-ცალკე მიემართებოდა ღმერთისკენ, ამაში დიდი როლი ითამაშა ენის

გასულიერებამ, ენის გაქრისტიანებამ. ეს კი ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველია – სულიერი წიაღია და დიდ სიყვარულს წარმოადგენს.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირების მთავარი ვენება მეგობრობა და სიყვარულია. ისინი ერთმანეთს კეთილდღეობისათვის თმობენ თავიანთ სურვილს, აკონტროლებენ ემოციებს და აქვთ მათზე გაბატონების უნარი, ძლევენ მტერს და შეუძლიათ გულში სიყვარულის ცეცხლის არ გაქრობა (ქართული რენესანსის საკითხები, 1988: 126, 127). ამაში კი დაეხმარა რენესანსი თავისი ქრისტიანული მსოფლმხედველობით. თუმცა ამავე დროს შეიმჩნევა უკიდურესობანიც. დიდ გონიერებას დიდი ფიქრი და სევდა მოაქვს. უდიდესი სასოწარკვეთა იმას ეწვევა ხოლმე, ვისაც უდიდესი სიხარული ძალუძს. ქრისტიანული მსოფლმხედველობის განვითარებამ შეარყია ბევრი ძველი რწმენა და ამ აზროვნებამ გამოიწვია ეჭვი. უკვე შუა საუკუნეებში დიდი იყო რწმენის ძალა და შიში ღვთის. არანაკლები იყო შიში ურწმუნოებისა და ეჭვისა (სირაძე, 2002: 293). ადამიანმა ჩაიხედა სულის საშიშ სიღრმეებში, განიცადა სასოწარკვეთა, მაგრამ შემდეგ გაუჩნდა ფიქრი ქვეყნიერების ხსნის შესახებ. ეს კი უკვე ღმერთზე ფიქრს მიანიშნებდა. ცხოვრება ხომ ფიქრია ფიქრზე. ყველაფერი იღუმალი გახდა, დარჩა „რადაც“, რამაც ადამიანი ბევრ სასურველ და არასასურველ თავგანწირვამდე მიიყვანა. ღმერთი გაიღებალდა ხორცითაც და სულითაც. დაიწყეს აწმყოზე ზრუნვა და მომავალზე ფიქრი. შეიცვალა მათთვის ბედის გაგებაც. მოაზროვნე ადამიანს მეტი სევდა და ფიქრი აწევს. მას უჭირს მოიშოროს ნალექელი, თუმცა ამის საჭიროება მან უკვე იცის.

რუსთაველი ადამიანში განადიდებს ადამიანს. ის არ კარგავს რწმენას. ეს კი დიდი ჰუმანიზმია. ადამიანი ეუფლება მთლიანი სამყაროს შეგრძნებას, ამის საფუძველი კი ქრისტიანობაა, რუსთაველის ხანა სულიერებით აღსავსე ეპოქაა. ამ დროს საქართველო ქრისტიანობის ბურჯია.

წმინდანობისაკენ მიმავალ გზაზე ადამიანი ქმნიდა ყველაზე დიდ საოცრებას – თავის თავს, ოღონდ ღვთიური იდეის მიხედ-

ვით. რენესანსის დროს ქრისტიანულ მსოფმხედველობაში გაჩნდა ნათლის ესთეტიკა. „სადაც არსებობდა დიდი ღვთაებრივი სილამაზე. ის იყო იღუმალი როგორც სული, შემდეგ იგი ნათელივით მოეფინა ქვეყნიერებას და ყველაფერი გაასხივოსნა სინათლემ, რომელსაც სილამაზე მოჰქონდა, ყველაფერს ერთნაირად მისწვდა, მაგრამ ყველამ ერთნაირად ვერ მიიღო. ამიგომაც ლამაზი ვერ გახდა“ (სირაძე, 2002: 286).

ღმერთის „სახეთა“ შორის უმაღლესი და უპირველესი, რომლითაც ყველაზე მეტად უახლოვდება მის არსებას, სიკეთეა (ლორთქიფანიძე, ჩიქოვანი, 1997: 244). სამყარო ერთიანობაშია პირველსაწყისთან. მასში მოქმედებს ღმერთიდან გამომდინარე სინათლის სხივი, როგორც ხილული მზე თავისი ბუნებით, თავისი არსებით ანათებს ყოველივეს – ასევე ღმერთი, როგორც უმაღლესი სიკეთე, თავისი ბუნებით განფენს შარავანდედს სამყაროზე. აძლევს მას არსებობას და სიკეთეს. რუსთაველს სინათლე მიწაზე მოაქვს, იბრძვის ამ სინათლის ზემისათვის მიწიერ ცხოვრებაში (ლორთქიფანიძე, ჩიქოვანი, 1997: 247).

რენესანსელთა წარმოდგენით, ღმერთი ამგვარი სიგყვებით მიმართავს ადამიანს: „არ განიჭებ შენ არც გარკვეულ ადგილს, არც რაობას, არც განსაკუთრებულ მოვალეობას, რათა შენი ადგილიც, რაობა და მოვალეობაც შენ თვითონ განსაზღვრო შენივე საკუთარი სურვილით, შენი ნების შესაბამისად. სხვა ქმნილებათა რაობა განსაზღვრულია ჩვენ მიერ დადგენილი კანონებით. შენ შეუზღუდელი ხარ და ყველაფერს შენ თვითონ განსაზღვრავ და შენი თავის უფროსიც შენ ხარ, მე შენ გაყენებ სამყაროს ცენტრში, რომ შენ აქედან იხილო ყველაფერი, რაც კი რამაა ამქვეყნად“ (ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა). (სირაძე, 2002: 290).

მსოფლმხედველობის გაბატონების შემდეგ იცვლება დამოკიდებულება ამქვეყნიური სინამდვილისადმი. „ზეციერი სამყარო“ აღიარებულია უმაღლეს და სრულყოფილ სინამდვილედ, „მიწიერი სამყარო“ კი მის უბადრუკ ანარეკლად. თუმცა ადამიანი მაინც

ცდილობს ღმერთის გააღამიანებას და დაახლოებას. ამით გათიშული სამყარო ერთიანდება.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა საქართველოში მიმდინარე მოვლენებმაც მოახდინა. XI-XII სს-ში საქართველო ძლიერებას აღწევს. იხსნება სასულიერო აკადემიები, რომლებიც რწმენის გაღრმავებასა და ცოდნის მიღებაში ეხმარება ხალხს. ასეთმა ვითარებამ კი მისცა რენესანსს საშუალება ქართულ ლიტერატურაში ეჩვენებინა ანტიკური და შუა საუკუნეების შერწყმა. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ამ ეპოქას ეხება, აქ შერწყმაა შუა საუკუნეებისა და რენესანსისა. შოთა იყენებდა მოძღვრებებს, ფილოსოფიას და ბიბლიას. ასევე დასავლურ-აღმოსავლურ იდეებს თავის პოემაში. ამის გამო რუსთაველს აცხადებდნენ ხან მაჰმადიან, ფილოსოფოსად, ხან პლატონისა და არისტოტელეს მიმდევრად, ბოლოს კი ნეოპლატონიზმის მიმდევრად აღიარეს, რადგან ბევრი რამ გახადა რენესანსისათვის მისაღები ნეოპლატონიზმმა. თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ მრავალფეროვნება ღვთის საკითხად იქცა მეცნიერებაში. აინტერესებდათ საქართველოში განვითარებული რენესანსის წარმომავლობა დასავლური იყო თუ აღმოსავლური.

„ქრისტიანულმა ნეოპლატონიზმმა და სუფიზმმა, – წერს კ. კეკელიძე, – რელიგია მიიყვანეს იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ სიყვარული და მიჯნურობა ღვთისადმი, რასაც ის მოითხოვს, არის სიყვარული და მიჯნურობა ადამიანისადმი“ (გამსახურდია, 1991: 9).

რუსთაველისათვის შაირობა საღვთო ინტერპრეტაციის თბილად, სულის ხსნის თვალსაზრისით. პოეზიის დანიშნულება, უწინარეს ყოვლისა, საღვთოა, რელიგიურია, პოეზია დარგია საღვთო სიბრძნის, იგი სახისმეცხველებითი ღვთისმეცხველებაა თავად, მისი შემფასებელნიც „საღმრთონი“, ე.ი. ღვთისმეცხველნი არიან. აუდიტორია პოეზიისა არის სასულიერო წრე (გამსახურდია, 1991: 17), ხოლო გაგონებას ახდენს საერო წრე. ბასილ დიდი მოუწოდებდა სამოგადოებას გაცნობოდა ამ პოეზიას და ჩასწვლომოდა მის ღვდააზრს, რათა გაადვილებოდა ქრისტიანული

მსოფლმხედველობის გაგება, რომელიც სიკეთის ქმნაზე იყო აგებული.

რუსთაველის გმირების ცხოვრების წესი სიკეთის ქმნაზეა აგებული. ისინი ადამიანებს ზემოდან არ უყურებენ. ისინი ადამიანებს აღმერთებენ. რუსთაველის მსოფლმხედველობა კარგად ჩანს მის პოემაში. შ. ნუცუბიძე პოემის მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას აღნიშნავდა: „რუსთაველი არსად არ უშვებს კავშირის გაწყვეტას ზეცასა, როგორც ამაღლებულის, ბედნიერებისა და სიყვარულის სიმბოლოს, და მიწას, როგორც რეალური, „ხორციელი“ ადამიანისათვის რეალურ ქვეყანაზე ამ ბედნიერების, სიყვარულისა და ნეტარების სიმბოლოს, შორის. ამ სინთეზში, ამ ერთიანობაშია რუსთაველის მიერ ამქვეყნიურ სიკეთეთა პოეტური ხორცშესხმის სიღიაღე“ (ლომთურიძე, ჩიქოვანი, 1997: 246). გარდა რუსთაველის პოემისა, აღასანიშნავია ეფრემ მცირეს ბევრი სასულიერო ხელნაწერი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

მსოფლმხედველობაში ღმერთის ყოველგვარი ქმედება მისივე ნება-სურვილს ეფუძნება, ის არსაიდან ქმნის არარსებულს. ღმერთთან დაახლოებისათვის ადამიანი ლოცულობს. ლოცვის ორი სახე არსებობს. ერთი სახე ღვთის შიშითა და კეთილი იმედებითაა განპირობებული, მეორე კი – ღვთისადმი სიყვარულითა და უმაღლესი სიწმინდით. ლოცვის პირველი სახის შემთხვევაში გონება იშორებს ყოველგვარ ამქვეყნიურს, თავისთავში ღრმავდება და ღმერთის პირისპირაა, მეორე შემთხვევაში კი გონება აღტაცებულია ღვთაებრივი სინათლით და ამ ღროს იგი ვერაფერს ხედავს, გარდა ღმერთისა. ლოცვის მეორე სახე ღმერთის მისტიკური ჭვრეგის ერთი აუცილებელი პირობაა (მახარაძე, ხიდაშელი. 1991: 9).

შალვა ნუცუბიძის აზრით, ქრისტიანული რელიგიის გაჩენა და გავრცელება ნიშნავს არა მხოლოდ სამოგადოების ღირებულებრივი ორიენტაციის განცალკევებას საწუთროდან საუკუნოსაკენ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის, ინდივიდუალური ადამიანის სულის აღიარებას უმაღლეს ღირებულებად ადამიანურ

სამყაროში - ისეთ ღირებულებად, რომელიც განუზომლად და პრინციპულად აღემატება ყოველსავე „უნივერსალურ მთელს“, ყველა კაცებზე ინსტიტუტებსა და წამოწყებებს (ქართული რენესანსის საფუძვლები, 1998: 112). ქრისტიანული რელიგია თავისი იდეითა და მსოფლმხედველობით ხსნის საშუალებას მთელი კაცობრიობისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სირაძე რ., ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2002
2. ქართული რენესანსის საფუძვლები., თბ., 1988
3. მახარაძე მ., რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII სს-ის საქართველო, „ელფის“ გამომცემლობა, 2003
4. მახარაძე მ., ხიდაშელი შ., არეოპაგიტიკა და ქართული ფილოსოფიური აზრის საკითხები, თბ., 1991
5. გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახისმეცველეება, თბ.,1991
6. ლორთქიფანიძე გ, ჩიქოვანი ნ., ქართული კულტურის ისტორია, თბ., 1997

შოთა რუდთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმის

შ რ ო მ ე ბ ი
I

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი
ბათუმი. ნინოშვილის №35 ტელ: (893) 545110 (877) 179766;
E-Mail: center_rsu@yahoo.com

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.09.2009
ქალაქის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 17.8
ტირაჟი 100

ფასი სახელმწიფოებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35